ლიბერალი
№ 48 / 18 - 24 ოქტომბერი / 2010

უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა? გვ. 06
მეჩეთი, როგორც ამერიკული ლიბერალიზმის გამოცდა გვ. 14
ჩრდილოეთ კავკასია: ორ სტრატეგიას შორის გვ. 20
თითქმის ევროპული თურქეთი გვ. 23
კონსტიტუცია: ირაკლი კობახიძე, თამარ ხიდაშელი გვ. 26 / 28
სვანური გეგმა გვ. 30
შეჩერებული ინვესტიციები გვ. 32
სტალინის ძეგლის აღების ისტორია გვ. 36
კითხვები განათლების სამინისტროს გვ. 42

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

სასვები, ომელის გვსლავს

გვ. 8

FM
ცნობი
98.0

ლიბერალი

№ 48 / 18 - 24 ოქტომბერი / 2010

სტალინის ძეგლი გორის ცენტრალური მოედნიდან ჩამოხსნეს და დროებით გადამალეს, 2010

ფოტო: ბორის ქოჩარბეკლი

ნომერში:

02 ფოსტა
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
უნდა აიკრძალოს თუ არა საბჭოთა სიმბოლიკა საჯარო ადგილებში?
გია თორთლაძე VS დავით გოგიშვილი
08 **მთავარი თემა**
საკვები, რომელიც გვკლავს
13 **თვალსაზრისი**
ერთობა უძლურებაშია
მარკ მალენი
მსოფლიო
14 მეჩეთი, როგორც ამერიკული ლიბერალიზმის გამოცდა
ირანი
17 რიალის შავი მომავალი
მეზობლები
20 ორ სტრატეგიას შორის
თურქეთი და ევროკავშირი
23 თითქმის ევროპული თურქეთი
კონსტიტუცია
26 ახალი პრემიერ-მინისტრი
თვალსაზრისი
28 დაჩქარებული რეფორმა
ეკონომიკა
30 სვანური გეგმა
შეჩერებული ინვესტიციები
32 დაუსრულებელი პროექტები

ჟურნალისტური გამოძიება
36 გაყალბებული წერილის ისტორია
საზოგადოება
39 ძველი ახალი სამინისტრო
თვალსაზრისი
42 კითხვები განათლების სამინისტროს



მედიაკრიტიკა
43 ტელეტრავმა
კულტურა
45 ფესტივალის შემდეგ...
სპორტი
47 ვისია ჩემი კლუბი
გიო ახვლედიანი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 დაგვიანებული ჩივილი

გარეკანზე:

საკვები, რომელიც გვკლავს
ილუსტრაცია: რუსლან ბერიძე

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რატომ გვჭირდება ათასი რუსის ჩამოყვანა

„არგუმენტი, რომ მეზობლად და ჩვენსავე ქვეყანაში ზოგიერთები რუსულად ლაპარაკობენ და ამიტომ რუსული უნდა ვისწავლოთ სუსტია. ჩემი თანატოლები და ჩემზე უმცროსები სომხეთში და აზერბაიჯანში უფრო უკეთ ინგლისურად მეტყველებენ ვიდრე რუსულად. ... რატომ უნდა გავაკეთოთ ორიენტირი უფროს და არა ახალგაზრდა თაობაზე? თურქულის სწავლა უფრო პერსექტიული იქნება და ამ შემთხვევაში მარტო 8 მილიონ აზერბაიჯანელთან კი არ ისაუბრებ, არამედ 77 მილიონ თურქთან, 3 მილიონ აზერბაიჯანელთან ირანში. ამას ემატებიან Turkic language speaking ყაზახები, თურქმენები, ყირგიზები. სადღაც 200 მილიონი კაცი. თანაც, თურქეთის როგორც რეგიონული მოთამაშის როლი იზრდება (მათი ეკონომიკა ამ კრიზისის პირობებშიც კი 6%-ით იზრდება), აი რუსეთისა კი რა მოგახსენოთ. თუ ისევ FSB-ს გენერლების ხელში დარჩა მმართველობა, კარგი მომავალი არ „ეჭყანებათ“. საერთოდაც, მსოფლიოში 580 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს ინგლისურად. 400 მილონზე მეტი ინგლისურად პოტენციურად მოსაუბრე ჩინელია (ვინც სწავლობს ინგლისურს ჩინეთში ამჟამად). 380 მილიონი კი – ესპანურად. ვისაც უნდა რუსულის სწავლა ისწავლოს. ლამაზი ენაა. ოღონდ პრაგმატულობიდან გამომდინარე, მე სხვა არჩევანს გავაკეთებდი. რუსული არჩევითი უნდა იყოს და არა სავალდებულო.“

ნინო, 14 ოქტომბერი
www.liberali.ge

რაც ვიცოდით რუსული, ისიც ბევრი იყო. ბევრი რამის წაკითხვა სხვა ბევრ ენაზეც შეიძლება. კავკასიაშიც და შუა აზიაშიც სწავლობენ ინგლისურს. ძალიან გინდა არაყით და ღვინით ჩამსკდარი რუსების ყურება, რომ ნახავენ, ყველას სახლში თავისი ღვინო აქვს? გგონია რუსები ისევე „ნა რავნე“ მიგიღებენ როგორც დასავლელები? ჩათვლიან, რომ ეკუთვნით, და იმიტომ ვმასპინძლობთ. ისე ბევრი ოჯახი გეგულება, ვინც რუსებს მიიღებს? გოგოებს კიდევ ჯანდაბას, მიიღებს ვინმე ბიჭი, აი, ბიჭებს ვინ მიიღებს? რუსეთში ეგენი საერთოდ არ დაბრუნდებიან. დათხოვდებიან, თუ ვინმე მოიყვანს. რომ ჩავლენ, კარგს მაინც არაფერს

ილაპარაკებენ. რომც ილაპარაკონ, არავინ დაუჯერებს, ჩართავენ ტელევიზორს და გადაიფიქრებენ. მილიონი მიზეზი არსებობს, რატომაც რუს მოხალისეებს აქ არაფერი ესაქმებათ.

სანდრო, 11 ოქტომბერი,
www.liberali.ge

ემხრობით თუ არა პატრიარქის განცხადებას?

„სტუდენტი ვარ და ჩემს გარშემო ძალიან ბევრი ფიქრობს სწორედ საზღვარგარეთ სწავლაზე, ჩვეულებრივია, უკვე რომ დაამთავრებ ან დამამთავრებელ კურსზე ხარ, უნდა წახვიდე და ისწავლო აუცილებლად. „საქართველოში სათანადო ცოდნა არაა“ „საქართველოში სწავლას არავინ გიფასებს“ „როგორც არ უნდა ისწავლო, არავის უნდიხარ სამსახურში, თუ საზღვარგარეთ არ გაქვს ნასწავლი და კიდევ მრავალი მიზეზი აქვთ ამისთვის, არის შემთხვევებიც როდესაც ჩამოსულები მართლაც სხვანაირად უყურებენ ყველაფერს, ცოტა დამცინავადაც უდგებიან ქართულ მენტალიტეტს, იქ თავისუფლებას ეჩვევიან და აქაც სურთ სრულად გამოვლენა თავის. ბევრი სტუდენტისგან მსმენია, რომ სამუშაოდ უნდათ წასვლა, ბევრი ჩემი თანატოლი ვარჯიშს იწყებს, რომ იქ ფიზიკურად იმუშაოს. ალბათ, ჯერ აქ უნდა ჩამოყალიბდეს მოზარდი ადამიანად და ამოწუროს ყველანაირი სწავლის რესურსი და თუ უკმაყოფილო იქნება შემდეგ განაგრძოს სწავლა უცხოეთში. მერყევი ადამიანი საქართველოშიც ადვილად მოექცევა ცუდი ზეგავლენის თუ არაჯანსაღი შეხედულებების ქვეშ.“

მიხო, 13 ოქტომბერი,
www.liberali.ge

... მთელი ჩვენი კულტურული აზროვნების განვითარება შემოტანილია საზღვარგარეთის საგანმანათლებლო სკოლებიდან.... ქართველების მასობრივი გადინების შედეგად დაარსდა ევერონის სავანე, ბულგარეთის ბაჩკოვოს სავანე, შავი მთის სავანე, ახლო აღმოსავლეთში პალესტინის ტერიტორიაზე ჯვრის სავანე და სინას მთის სავანე...ილია II თავად რამდენი ათეული წელიწადი საზღვარგარეთ ეწაფებოდა ცოდნას და რომ არა მისი იქ მიღებული განათლება, ალბათ, დღეს არც იქნებოდა ერის სულიერი წინამძღოლი.

გელა ჟვანია, 13 ოქტომბერი
www.liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანაზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ვალერი ძუცევი, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა-სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:

www.boell.ge

69-დღიანი მინისქვეშა სხოვრების დასასრული

33 ჩილელი მაღაროელის ამოყვანის სამაშველო ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მაღაროელთა 700 მეტრის სიღრმიდან ამოყვანას სამი ათასამდე გულშემატკივარი მაღაროსთან დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე, მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანი კი წამყვანი ტელევიზიებით პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალ-ყურს. ოპერაციას ადგილზე 1 500 ჟურნალისტი აშუქებდა.

გადარჩენილი მაღაროელები სათითაოდ ამოჰყავდათ, ამოსულებს ოჯახის წევრებთან ერთად რამდენიმე ათეული ვიდეო-კამერა და ქვეყნის პრეზიდენტი ხვდებოდა.

„ჯადოსნური დღე გაგვითენდა. ღრმა ემოციების და დიდი სიხარულის დღე, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება“, – ასე დაწერა პრეზიდენტმა ოპერაციის დასრულების შემდეგ სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“.

ახლად არჩეული პრეზიდენტი სებასტიან პინერა სამაშველო ოპერაციის „სანახაობად ქცევისთვის“ გააკრიტიკეს. „მართალია, მაღაროში ყოფნით და ოპერაციის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობით მან რეიტინგი გაიზარდა, მაგრამ მისი საქციელის დაგმობა არ შეიძლება“, – განაცხადა ჩილეს პრემიერ-მინისტრმა.

მანამდე უცნობი მაღაროელები გმირებად იქცნენ, ერთ-ერთი მათგანი მიწის ქვეშ ჩანაწერებს აკეთებდა, რომლითაც რამდენიმე გამომცემელი უკვე დაინტერესედა.

ერთადერთი არაჩილელი მაღაროელი ბოლივიელი კარლოს მამანი იყო, რომელსაც მაღაროდან ამოსვლისთანავე ქვეყნის პრეზიდენტი ევო მორალესი შეხვდა. მორალესის თქმით, სამაშველო ოპერაციამ ორ ქვეყანას შორის ნდობის აღდგენას შეუწყო ხელი.

22-მილიონდოლარიანი ოპერაცია დასრულდა, მაგრამ მაღაროელთა განსაცდელი ამით არ მთავრდება. ფსიქოლოგების თქმით, გადარჩენილებს წინ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ელით, რომელიც შეიძლება, 6-დან 9 თვემდეც გაგრძელდეს.

ახალი ბიუჯეტის ახალი პრიორიტეტები

2011 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე პარლამენტს წარუდგინეს. მომავალი წლის პრიორიტეტები ჯანდაცვისა და განათლების სფეროებია.

სამინისტროებს შორის ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჯანდაცვას აქვს – 1.604 მილიარდი ლარი. განათლების სამინისტროს დაახლოებით 55 მლნ ლარით დააფინანსებენ. ამ სამინისტროს დაფინანსებას წელს 10 მილიონიანი პროექტიც ემატება, რომელიც სკოლებში 1000 ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვანაზე დაიხარჯება.

გაგრძელდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შემცირებაც, რომელიც 2008 წლიდან დაიწყო. მაშინ თავდაცვის სფეროს დაახლოებით მილიარდნახევრით აფინანსებდნენ. 2011-ში მისი ბიუჯეტი 660 მილიონი ლარი იქნება.

25 მილიონ ლარს მიიღებს საქართველოს საპატრიარქო.

მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლები 5.905 მილიარდი ლარით, ხარჯები კი – 5.707 მილიარდი ლარით არის განსაზღვრული.

ჩისხვები

2,5-ჯერ იზრდება გადასახადი სათამაშო ბიზნესზე.

4.8 პროცენტით გაიზრდება მსოფლიო ეკონომიკა 2010 წელს.

ახალი "ქართული პარტია"

სოზარ სუბარი, ეროსი კიწმარიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ოქრუაშვილი და კოკა გუნცაძე პოლიტიკურ პარტიას ქმნიან. „ქართული პარტიის“ მიზანი ხელისუფლების შეცვლა და „საქართველოს ნგრევის“ შეჩერებაა. „ჩვენ გვსურს, ახალი საქართველო ქართულ საწყისებზე ავაშენოთ. ჩვენი მუშაობა ქართულ იდეაზე იქნება დამყარებული, რაც საქართველოს თვითმყოფადობას, უსაფრთხოებას, პროგრესს და კეთილდღეობას გულისხმობს,“ – განაცხადა სოზარ სუბარმა. პარტია ჯერ ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა, თუმცა მხარდამჭერების შეგროვებას უკვე იწყებს. პარტიის პრეზენტაციას მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“, „9 აპრილის“, „ქართული აკადემიის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. „ქართულ პარტიას“ თავმჯდომარე ჯერ არ ჰყავს. უცნობია დაფინანსების წყაროებიც. პარტიულ თანამდებობებს ლიდერები 22 ნოემბრამდე, პარტიის ყრილობამდე გაინაწილებენ. ისინი ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას ყველა ხერხით, მათ შორის, არჩევნების გზითაც გეგმავენ.

ფოტო: ბორის ბაბულია

ახალი კონსტიტუცია

პარლამენტმა მესამე მოსმენით 112 ხმით 5-ის წინააღმდეგ ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ნაწილი ძალაში 2011 წლიდან შევა. სრულყოფილად კი დოკუმენტი 2013 წლის დეკემბერიდან – პრეზიდენტის არჩევის და მთავრობის კაბინეტის ხელახლა დაკომპლექტებისთანავე – ამოქმედდება. ვენეციის კომისიამ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის შიდა პოლიტიკაში გადანაწილებული უფლება-მოსილებები მოიწონა, თუმცა, მიიჩნია, რომ ზღვარი პრეზიდენტისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკურ ფუნქციებში ბუნდოვანია. 8 ოქტომბერს, მეორე მოსმენის შემდეგ, წინასწარ გამოქვეყნებულ დასკვნაში ერთ-ერთ ხარვეზად სწორედ ეს საკითხი დასახელდა. წინასწარ დასკვნაში, ვენეციის კომისიის კიდევ ერთი რჩევა იყო, რომ კონსტიტუციის გამოქვეყნებამდე პარლამენტი საბოლოო რეკომენდაციებს დალოდებოდა, რაც საკანონმდებლო ორგანომ არ გაითვალისწინა. საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე, პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მაინც მიიღო.

სიტყვები

„ვფიქრობ, მაღაზიის ან რომელიმე დაწესებულების წარწერა უნდა იყოს სამივე ანბანით, ამით ჩვენ ვასწავლით ჩვენს ახალგაზრდობას და ჩვენს ხალხს სამივე დამწერლობას, ასომთავრულს, ნუსხა ხუცურს და მხედრულს“.

საქართველოს პატრიარქი ილია II

„ჩიკაგოშიც კი არ აქვთ პირველი კლასიდან კომპიუტერებით სწავლება. ეს მეთოდი ამერიკაშიც ახლა შემოდის. მათ ჩვენ დავასწარით.“

პრეზიდენტი სააკაშვილი პირველკლასელთა კომპიუტერებით სწავლებაზე

„ირაკლი ოქრუაშვილი – რომელსაც აქვს გაბედული ნაბიჯების და ამ რეჟიმში მონაწილეობის გამოცდილება. ეროსი კიწმარიშვილი – რომელსაც თანამედროვე პროპაგანდაში და ტექნოლოგიებში მართლაც უდიდესი გამოცდილება აქვს. სოზარი – გამოცდილი ადამიანის უფლებებში...და მე – თქვენს მონამორჩილს, მეც მაქვს გარკვეული გამოცდილება ამ ბრძოლაში.“

ლევან გაჩეჩილაძე ახალი „ქართული პარტიის“ დამფუძნებლების წარდგენისას

„რუსულმა მხარემ პერევიდან ჯარების გაყვანა შესაძლოა, პოლიტიკური სპეკულაციის თემად გამოიყენოს“

გიგა ბოკერია პერევიდან რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ

12 მილიონ 751 ათასი დოლარის პროდუქცია გავიდა 2010 წელს საქართველოდან ჩინეთში.

1 500 ჟურნალისტი აშუქებდა ჩილედან მაღაროელთა სამაშველო ოპერაციას.

მომხრე
გია თორთლაძე
საქართველოს პარლამენტის წევრი

უნდა აიკრძალოს სიმბოლიკა საბ

■ საბჭოთა სიმბოლიკის არათუ არსებული ნიმუშები უნდა მოვსპოთ, არამედ კანონით უნდა ავკრძალოთ ამ სიმბოლოების გამოყენება. თავი უნდა დავიზღვიოთ, რათა ხვალ ვინმეს არ გაუჩნდეს სურვილი და საბჭოთა ლიდერის სახელი არ დაარქვას ქუჩას, პარტიას.

ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა პერიოდმა ინტელექტუალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საშინელი დაღი დააჩინა, საბჭოთა სიმბოლიკა და სახელწოდებები უნდა აიკრძალოს. რატომ უნდა ერქვას გურიაში ერთ-ერთ სოფელს „ოქტომბერი“?! მას ხომ კომუნისტებამდე მშვენიერი სახელი – ჯვარცმა ერქვა.

საბჭოთა სიმბოლიკის არათუ არსებული ნიმუშები უნდა მოვსპოთ, არამედ კანონით უნდა ავკრძალოთ ამ სიმბოლოების გამოყენება. თავი უნდა დავიზღვიოთ, რათა ხვალ, ზეგ ვინმეს არ გაუჩნდეს სურვილი და საბჭოთა ლიდერის სახელი არ დაარქვას ქუჩას, პარტიას, ან საბჭოთა სტილის ბარელიეფი არ გააკეთოს.

მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირთან დაკავშირებული ქანდაკებები, ნაგებობები და სახელწოდებები უნდა დავივიწყოთ. ეს სიმბოლიკა იმ იდეოლოგიის ნაწილია, რომელსაც საქართველო სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს.

ზოგიერთი ოპონენტისგან მომისმენია, რომ ეს ჩვენი ისტორიაა და ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ. მე მათ შევახსენებ, რომ ასეთივე ისტორიაა „დიდი თურქობა“ და „დიდი არაბობა“, მონღოლების პერიოდი. მათი მოსაგონარი სიმბოლოებიც უნდა დავტოვოთ, რომ გვქონდეს?

მე რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში მენახა საბჭოთა სიმბოლიკა, ვიფიქრებდი, რომ ამ მთავრობას საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ჩვენი ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს ევროინტეგრაციისკენ და ამ საკითხში მათი გამოცდილებაც უნდა გავიზიაროთ. მაგალითად, ბალტიის სამმა ქვეყანამ უკვე მიიღო ეს კანონი. 2006 წლის 25 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტებად არის აღიარებული. ბოლო ეტაპიღაა დარჩენილი, რომ ფაშისტური და საბჭოთა სიმბოლიკა გათანაბრდეს ერთმანეთთან.

კანონი არ შეეხება კერძო კოლექციებში შენახულ მონეტებს და სხვა ისტორიულ ნივთებს. ასევე, ნებისმიერ ადამიანს კვლავ ექნება უფლება, გააკეთოს საბჭოთა ლიდერის ბიუსტი და დაიდგას სახლში. თუმცა ამის გარეთ გამოტანა და საჯარო ადგილას დადგმა უნდა აიკრძალოს. ასევე, თუ საბჭოთა სიმბოლიკა კომერციული ობიექტის სახელწოდების ნაწილია (იგულისხმება კაფე „კგბ“) და მეპატრონეები ამას არა ხუმრობით, არამედ პირდაპირი დატვირთვით გულისხმობენ, ახალი კანონის მიხედვით, ეს ობიექტი შესაძლოა, დაიხუროს.

ჩვენ ვერ და არ ვიქნებით ლოიალური კომუნისტური ლიდერებისადმი, რომლებმაც სისხლის გუბეები დააყენეს და 20 წლის განმავლობაში ანადგურებდნენ ჩვენს საზოგადოებას.

ფოტო: თემურ ბარიშვილი

საბჭოთა სიმბოლიკა თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ შემორჩენილია

თე ეხა საბჭოთა ეხო ადგილებში?

■ საქართველოს საბჭოთა წარსულის გააზრება უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუ მიზნად დავისახავთ, გავთავისუფლდეთ იმ მატერიალური ნარჩენებისაგან, რომელიც საბჭოთა სისტემამ დაგვიტოვა, გამოვა, რომ თბილისის განაშენებული ტერიტორიის ნახევარი მაინც მიწასთან არის გასასწორებელი.

მოწინააღმდეგე
დავით გოგიშვილი
საჭოთა წარსულის კვლევის „ლაბორატორია“

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ს დაშლიდან უკვე თითქმის 19 წელი გავიდა, ამ პერიოდის განმავლობაში სიმბოლოებზე, ძეგლებზე თუ ტოპონიმიკაზე ორიენტირებული განცხადებების გარდა არაფერი გვინახავს. დღეს შენობების ფასადებიდან ვარსკვლავების და ურო-ნამგლების ჩამოფხეკა კვლავ ასეთივე ზედაპირული მიდგომის გაგრძელება მგონია.

საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვა და განადგურება ყველაზე მეტად საქართველოში არსებულ არქიტექტურულ მემკვიდრეობას შეეხება, რომელიც ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, „იმელის“ შენობა თავისი თავდაპირველი დანიშნულების და უნიკალური ინტერიერის გარდა, ადგილია, სადაც მუშაობდა საქართველოს პარლამენტი, 1995 წელს მიიღეს საქართველოს კონსტიტუცია და სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოღვაწეობდა. ამავე შენობაში არსებობდა ერთ-ერთი უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომლის დიდი ნაწილი დაუდევრობის თუ სხვა მიზეზთა გამო ნაწილობრივ განადგურდა.

საქართველოს საბჭოთა წარსულის გააზრება უმნიშვნელოვანესი საკითხია. გააზრება გონებრივი პროცესია და შესაბამისად, საზოგადოების დესოვეტიზაციის საშუალებებს შორის პრიორიტეტი სწორედ რომ ყველაზე ეფექტურს - განათლებას უნდა ენიჭებოდეს. ინფორმირებული ადამიანის გონებაში სტალინის ძეგლის თუ საბჭოთა ვარსკვლავის დანახვა არანაირ სახელმწიფოსთვის „საშიშ“ ასოციაციას არ გააჩენს.

თუ მიზნად დავისახავთ, გავთავისუფლდეთ იმ მატერიალური ნარჩენებისაგან, რომელიც საბჭოთა სისტემამ დაგვიტოვა, გამოვა, რომ თბილისის განაშენებული ტერიტორიის ნახევარი მაინც მიწასთან არის გასასწორებელი. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორიული მჩაგვრელებიც და ნახევრად განადგურებულ თბილისს ძველი თბილისის დიდი ნაწილიც მივაყოლოთ.

პრობლემის გადაჭრა მასზე თვალის დახუჭვით ან აკრძალვით, ჩემი აზრით, ყოველთვის იმ მხარის სისუსტეზე მიუთითებს, რომელსაც ეს პრობლემა აწუხებს. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პრობლემა მენტალურია და ადამიანის თუ მთელი საზოგადოების აზროვნებასთან არის დაკავშირებული.

ჯანსაღი კვების ანატომია

სახვები, ჰომეროსს ბვეღავს

ჯანსაღი კვების დამახინჯებულ გაგებას ბავშვებს მშობლები უქმნიან. ის, რომ ბავშვი პუტკუნა და „კარგი მჭამელია“ მხოლოდ კომპლიმენტად აღიქმება.

თამარ ბაბუაძე, ეკა ჭითანავა

ორი წლის წინ 24 წლის ზურა ბექიშვილმა ექსპერიმენტი ჩაატარა. საკუთარ თავს, როგორც თვითონ ამბობს, „ჩინოვნიკის დიეტა“ დაუნიშნა.იცხოვრა ისე, როგორც თბილისელების უმრავლესობა ცხოვრობს – ბევრს არ მოძრაობდა, არ ვარჯიშობდა და ჭამდა მხოლოდ იმ კერძებს, რითაც რესტორნებსა და სწრაფი კვების ობიექტებში ქართველები თითქმის ყოველდღე იკვებებიან. 48 ხაჭაპური, 168 ხინკალი, 24 ქაბაბი... და სამკვირანახევარში მომატებული 10 კილო.

„ეს გიჟური იდეა იყო. დავნაძლევდი მეგობრებთან, რომლებიც მიმტკიცებდნენ, ქართული კერძები არ ასუქებს იმიტომ, რომ ჩვენი პროდუქტი ჯანსაღიაო. გადავწყვიტე, დამემტკიცებინა, რომ ქართველებში ასე გავრცელებული ღიპი მათი არასწორი კვების ბრალია“.

„ჩინოვნიკის დიეტა“, სანაძლეოს მიხედვით, ერთ თვეს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სამკვირანახევრის შემდეგ მომატებულმა ათმა კილომ ზურა ისე შეცვალა, რომ ექსპერიმენტი სასწრაფოდ შეწყვიტა.

„სანაძლეო მოვიგე – მეგობრებმა ველოსიპედი მიყიდეს, მაგრამ შემდეგ წონის დასაგდებად ორი თვე დამჭირდა. ახლა ვვარჯიშობ და სწორად ვიკვებები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, რა დავმართე ჩემს ორგანიზმს ისეთი, რამაც შეიძლება, თავი მომავალში იჩინოს“.

ზურა ბექიშვილისთვის შთაგონების წყარო მორგან სპარლოკის „ოსკარზე“ ნომინირებული დოკუმენტური ფილმი „სუპერ ზომის მე“ (Super Size Me) იქცა. რეჟისორი, რომელიც ფილმის გმირიცაა, 28 დღის განმავლობაში, დღეში სამჯერ სადილობდა მხოლოდ „მაკდონალდსის“ რესტორნებში, იღებდა 5000 კალორიას და ერთი თვის თავზე 11.1 კილო მოიმატა. გადაღებების შემდეგ მას ასევე აღმოაჩნდა: მომატებული ქოლესტერინი (მაჩვენებელი 230), გუნებაგანწყობის ხშირი ცვლილება, სექსუალური დისფუნქცია და ღვიძლში ცხიმის დაგროვება.

„სიმსუქნე ჩვენთვის უკვე ეპიდემიაა“, – აცხადებს აშშ-ს ფედერალურ მთავრობაში ჯანდაცვის საკითხებზე მთავარი მომხსენებელი რეგინა ბენჯამინი. თავის ექსპერიმენტზე აგებული ფილმით კი სპარლოკი თანამოქალაქეებს ეუბნება, თუ რა გავლენა აქვს სწრაფ კვებას სიმსუქნის მზარდ პრობლემაზე.

სიმსუქნე არ არის ერთადერთი თავის ტკივილი, რასაც არასწორი კვება იწვევს. გასტრიტი, კოლიტი, კუჭის წყლული, ართრიტი, დიაბეტი და გულის დაავადებების მთელი ჩამონათვალი – მეცნიერებმა დიდი ხანია, დაამტკიცეს, რომ ფრაზა – „რასაც ჭამ, ის ხარ“, მხოლოდ მხატვრული გამონათქვამი კი არა, რეალობაა.

კვლევები აჩვენებს, რომ გულის დაავადებათა 80% და დიაბეტის შემთხვევების 90% არასწორ კვებასთან და ცხოვრების წესთანაა უშუალო კავშირში. ექიმების მტკიცებით, დიეტას, რომელიც დიდწილად ხილის, ბოსტნეულის, თხილეულის და რძის ნაწარმისგან შედგება, წნევის რეგულირება დამატებითი მედიკამენტების მიღების გარეშე შეუძლია. სწორი კვებითაა შესაძლებელი კუჭ-ნაწლავის დაავადებების კონტროლი და პრევენციაც კი.

ზურა ბექიშვილთან სანაძლეო მისმა მეგობრებმა წააგეს. თუმცა საქართველოში დღეს მაინც უმრავლესობაში არიან ისინი, ვისაც თანამედროვე ქართული რაციონის სიჯანსაღეში ეჭვი არასდროს შეუტანია.

– იცით, რა არის ჯანსაღი კვება? – ეკითხება ჟურნალისტი 14 წლის გოგონას, რომელსაც ერთ ხელში ხინკალი უჭირავს და წვენს წრუპავს, მეორე ხელით ჩანგალს აშველებს.

ილუსტრაცია: რუსლან ბერიძე

– ვიცი, – ამბობს ლიკა, – ინგლისურის სახელმძღვანელოში ეწერა, რომ ქოლესტერინი ცუდია და ორგანიზმში ცხიმების დაგროვებას ნიშნავს.

ერთ-ერთი სახინკლის უფანჯრებო, ჩახუთულ სივრცეში, რომელიც შინდისფერი სავარძლებითაა დატიხრული, საჭმლისა და სიგარეტის სუნი კედლებშია გამჯდარი.

– გაუმაااარ- ჯოს! – ისმის სამჯერ თაკოს მაგიდიდან. 15 წლის გიორგი და მეგობრები მას დაბადების დღეს ულოცავენ.

„აქ ყოველ კვირას მოვდივარ, არ ვაქცევ ყურადღებას, რისი ჭამა შეიძლება და რისი – არა. ყველაფერს ვჭამ, ვეწევი და ჯერ არაფერი დამმართნია“.

მხოლოდ ერთი საშუალო ზომის სახინკლე დღეში 7 ათას ხინკალს ყიდის. 08-ის მონაცემთა ბაზაში თბილისში 59 სახინკლეა რეგისტრირებული. როგორც წესი, ორი ადამიანი 15 ხინკალს მაინც უკვეთავს. ხანდახან ოფიციანტს მზარეულამდე ორი ხინკლის შეკვეთაც მიაქვს და სამზარეულოში უკვე წინასწარ იციან, რომ ამ სუფრასთან უცხოელები სხედან.

ამერიკელი ექიმი-დიეტოლოგები ჯანსაღი კვების ნომერ პირველ კანონს ასე აყალიბებენ – „ზომიერება ყველაფერში“.

ამ რეკომენდაციის დაცვა კი საქართველოში კიდევ უფრო რთულია,

– იცით, რა არის ჯანსაღი კვება? – ეკითხება ჟურნალისტი 14 წლის გოგონას.

– ვიცი, – ამბობს ლიკა, – ინგლისურის სახელმძღვანელოში ეწერა, რომ ქოლესტერინი ცუდია და ორგანიზმში ცხიმების დაგროვებას ნიშნავს.

ვიდრე ამერიკაში: ქართული სუფრის მრავალფეროვნება ბევრისთვის ისეთივე ძვირფას ეროვნულ მემკვიდრეობად ითვლება, როგორც ქართული სიმღერის მრავალხმიანობა, რომელსაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

თუმცა, კვების სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს ტრადიციის დამახინჯებული გაგებაა. „ქართულ ტრადიციულ სუფრაზე მართლაც არის საკვების რამდენიმე სახეობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა ჭამო. ქართველებს ხშირად გვიჭირს ზომიერების დაცვა, ამ ადამიანებს მე „კუჭის პატრიოტებს“ ვუწოდებ“, – ამბობს დიეტოლოგი ასმათ კევლიშვილი.

სუფრაზე სართულებად ჩადგმული კერძების დაგემოვნებისას კი იმაზე მეტ კალორიას იღებ, ვიდრე დახარჯვა შეგიძლია. კვლევებით დასტურდება, რომ პროდუქტების მრავალფეროვნება ადამიანს მეტი საკვების მიღებისკენ უბიძგებს. „ეს ასეა ყველა სულიერი არსების შემთხვევაში, ვისზეც კი ეს ექსპერიმენტი ჩატარებულა – ადამიანები, ვირთხები, თევზები, კატები“, – ამბობს სიუზან რობერტსი, Tufts-ის უნივერსიტეტის პროფესორი.

რადგან ზომიერების აღქმა სუბიექტურია, ამიტომ სპეციალისტები დასაშვები კალორიების რაოდენობის დაანგარიშების მარტივ სქემას გვთავაზობენ – უნდა მიიღო იმდენი, რამდენის „დაწვასაც“ შენი ორგანიზმი შეძლებს.

ქალაქში და მთიან რეგიონში მცხოვრები ადამიანის ორგანიზმი ერთსა და იმავე საკვებს სხვადასხვაგვარად ითვისებს. მაგალითად, სვანეთში, ძირითადად ცხიმით, ხორცითა და კარტოფილით იკვებებიან, ბოსტნეულს ცოტას ჭამენ. მაგრამ, ცივი კლიმატისა და ცხოვრების წესის გამო, მათი ორგანიზმი მეტ ენერგიას ხარჯავს და მაღალკალორიული საკვებიც ამიტომ სჭირდებათ.

საშუალო სტატისტიკური თბილისელი კი, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში, სახლში და ტრანსპორტში ატარებს, დროის უქონლობის გამო, სულ უფრო იშვიათად დადის ფეხით. ფიზიკური საქმიანობის ნაცვლად, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაო კვირას ძირითადად კომპიუტერთან ატარებს. ორგანიზმი ვერ ასწრებს მიღებული კალორიების დაწვას. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ეს კალორიები ე.წ. „ქუჩის საკვებით“ დააგროვა.

ამერიკელებს ასეთი სტატისტიკაც კი აქვთ: დღეს საშუალო ამერიკელი მრავალფეროვანი და მსუყე დღიური რაციონის გამო, 530-ჯერ მეტ კალორიას იღებს, ვიდრე 1970 წელს. ამ კალორიების დაწვას ის იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ კი დღეში ფეხით დამატებით ორ საათს ივლიდა. ამერიკელთა უმრავლესობა კი იმაზე ნაკლებს სეირნობს, ვიდრე 30-40 წლის წინ.

სწრაფი კვების კერძები ქალაქელის ყოველდღიური რაციონის ნაწილია. როგორც იტალიური პიცა, ქართული ხაჭაპურიც უკვე წლებია, ნაციონალური სწრაფი კვების სახეობად იქცა. სარდაფის ფანჯრიდან ფენოვანი და გურული ხაჭაპურის, კარტოფილისა და სოკოს ღვეზელის გაყიდვა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან მცირე ბიზნესად ითვლება.

„ქალაქი ცომით გაივსო“, – შეშფოთებულები არიან დიეტოლოგებიც და ამბობენ, რომ ზედმეტად ცხიმიანი შაურმა, რომელიც გაურკვეველი ხარისხის ხორცით მზადდება, მეორადი ზეთი, რომელშიც ღვეზელებს წვავენ, ტრანსცხიმებს შეიცავს და ქოლესტერინზე უფრო მავნედ მოქმედებს. „თუკი ადამიანი ამ საკვების გარდა, ორგანიზმს ცოცხალ პროდუქტს, ხილს, მწვანილს, ბოსტნეულს არ აწვდის, უჯრედები გამუდმებით მშიერი რჩება. ხანგრძლივი შიმშილის შემდეგ კი უჯრედი გადაგვარდება და იქცევა ან ცხიმოვან, ანდა სიმსივნურ წარმონაქმნად. ფარისებრი ჯირკვლის პრობლემაც ამის შემდეგ ჩნდება. გადაგვარებული უჯრედი კი ორგანიზმში სუსტ ადგილს პოულობს და დაავადებაც იქით მიიწევს“, – ამბობენ დიეტოლოგები.

ჰარვარდის წამყვანი დიეტოლოგების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ტრანსცხიმის გადაჭარბებული მიღების გამო ამერიკაში წელიწადში 30,000 ადამიანი იღუპება გულის მოულოდნელი შეტევით. ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციით, ამ ტიპის ცხიმის მიღება დღეში 2 გრამით უნდა შემოიფარგლოს. საშუალო ზომის შემწვარი კარტოფილის ულუფა 8 გრამ ასეთ ცხიმს შეიცავს.

აღმაშენებლის ქუჩის კუთხეში მდებარე სურსათის მაღაზია დღეში 1000-მდე კრემიან, ზეთში მოხარშულ ფუნთუშას ყიდის. სამსახურიდან შესვენებაზე გამოსული ადამიანებისთვის, რომელთაც იაფად და სწრაფად წახემსება სურთ, მსგავსი ერთფეროვანი და მავნე მენიუ ყველაზე მოსახერხებელია.

მათთვის, ვინც ცდილობს, ჯანსაღად იკვებოს, არჩევანი თითქმის არ არსებობს.

31 წლის თაკო, რომელსაც ბევრი რამ წაუკითხავს სწორი კვების შესახებ, ცდილობს, ეს წესები თავის თავს მოარგოს. „მინდა ვიცოდე, რა გავაკეთო იმისთვის, რომ გასტრიტი არ დამემართოს, კუჭი არ დამიზიანდეს და 50 წლის ასაკში ინფარქტით არ მოვკვდე. ამას ვაჩვევ ჩემს მეუღლესაც და ორი წლის შვილსაც“. სწორედ იმიტომ, რომ საკუთარ არჩევანს არ უღალატოს, თაკო ხანდახან მთელი დღე მშიერია. „თუ სახლიდან წინასწარ მომზადებული კერძის წაღება ვერ მოვასწარი, გამოდის, რომ იმ დღეს ვერაფერს ვჭამ. მაღაზიებს, რომლებიც მზა კერძებით ვაჭრობენ, ვერ ვენდობი. მათი სალათებიც კი ზედმეტად ცხიმიანი და ცხარეა, უმრავლესობა მაიონეზით და მძაფრი სუნელებით იკმაზება“.

ამ მაღაზიებში ფიქრობენ, რომ კლიენტებს ჯანსაღ და მსუბუქ კერძებს სთავაზობენ. თუმცა, გამჭვირვალე პლასტმასის ყუთებში შეფუთულ სალათებს არც კალორიების რაოდენობა და არც პროდუქტების ზუსტი ჩამონათვალი აწერია. ამიტომაც, ზემოთ ნახსენები „მარტივი სქემის“ დაცვა საქართველოში ძალიან რთულია.

ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ისინი, ვინც თავიანთ ჯანმრთელობას ზედმიწევნით უფრთხილდებიან, ცოტანი არიან. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ჯანსაღად კვება ძვირი

კვლევის მიხედვით, ტრანსცხიმის გადაჭარბებული მიღების გამო ამერიკაში წელიწადში 30,000 ადამიანი იღუპება გულის მოულოდნელი შეტევით.

„სიამოვნებაა“. თუმცა, მთავარი მიზეზი არაინფორმირებულობაა.

თანამედროვე ქართველების უმრავლესობა არასწორ კვებას საფრთხედ დღემდე ვერ აღიქვამს. ხშირად არასწორია საზოგადოების მიერ „ჯანსაღი კვების“ გაგებაც კი. დიეტას ბევრი მხოლოდ წონის კონტროლის მექანიზმად მიიჩნევს. ხოლო როცა დიასახლისი დიდი საოჯახო სადილისთვის სოფლის დედალს წვავს, ითვლება, რომ ეკოლოგიურად სუფთა სადილს ამზადებს და შესაბამისად, ჯანსაღსაც.

„ხრაკვის დროს წარმოიქმნება ის ტოქსიკური მჟავები, რომლებიც ამჟავიანებს სისხლს და არღვევს ქიმიურ ბალანსს. გამჟავიანდა სისხლი? იწყება ბულემიური მოვლენები, საფუძველი ეყრება სხვადასხვა დაავადებას. თერმულ დამუშავებას ვერც პომიდორი უძლებს. დიასახლისები კი ხშირად მას სადილთან ერთად ხარშავენ, ან ტაფაზე ცხიმში ხრაკავენ. ხრაკვისას, მისი შემადგენელი ორგანული კალციუმის მარილები გარდაიქმნება არაორგანულად, ნელ-ნელა ილექება ორგანიზმში და მერე გვიკვირს, საიდან ჩნდება სახსრებში მარილების დაგროვება, ოსტეოქონდროზი, პოდაგრა და ასე შემდეგ“, – ამბობს ასმათ კევლიშვილი.

ქართველ ბავშვებს ჯანსაღი კვების შესახებ არასწორი წარმოდგენა პატარაობიდანვე ექმნებათ. როგორც წესი, ეს პირველ რიგში, მშობლების ბრალია. ის, რომ ბავშვი პუტკუნა და „კარგი მჭამელია“ მხოლოდ კომპლიმენტად აღიქმება. შვილების „გაპუტკუნებაში“ კი ბოლო დროს ქართველ მშობლებს სწრაფი კვების გიგანტი – „მაკდონალდსიც“ ეხმარება. „ჰეფი მილი“ და ლამაზ კოლოფში ნაპოვნი სათამაშო არა მხოლოდ პატარებს ანიჭებს ბედნიერებას, არამედ – დედებსაც – მთავარია, შვილმა მსუყე საკვები მიიღო.

სწრაფი კვების რესტორნების მფლობელებმა მხოლოდ 2007 წელს ბავშვებზე მიმართულ რეკლამებში 294 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს. თუმცა, ზეთით გაჟღენთილი კარტოფილი, გაყინული ხორცისგან დამზადებული ბურგერი და „კოკა-კოლა“ რომ ჯანმრთელობისთვის მავნებელია, ამაზე დასავლეთში უკვე უმრავლესობა თანხმდება. ამერიკის რამდენიმე შტატში მაკ-მენიუს წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომები“ მიმდინარეობს.

2004 წლის შემოდგომაზე, როდესაც ტეხასის შტატში სკოლებში ახალი სემესტრი დაიწყო, მოსწავლეებმა აღმოაჩინეს, რომ კაფეტერიებიდან მათი საყვარელი სასუსნავები – „კოლა“ და კანფეტები გაქრა, ერთი წლის შემდეგ კი აიკრძალა შემწვარი კარტოფილიც. ეს სანქციები სწრაფი კვების მენიუს შტატის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანმა სიუზან ქომბმა დაუწესა. თუ თავიდან ქომბს ზურგს უკან „ჭამის ნაცისტს“ ეძახდნენ, თანდათან მასწავლებლებმაც და მშობლებმაც გაიაზრეს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. თვითონ ქომბსი კი ამბობდა: „ის არგუმენტი, რომ კაფეტერიებში გაყიდული „პეპსი-კოლით“ სკოლები სხვა ხარჯებს ფარავენ, უბრალოდ მიუღებელია. ეს იგივეა, ჯერ მა-

რიხუანა მოიყვანო და მიჰყიდო მოზარდებს, შემდეგ კი ამ მოგებით მათთვის სპორტული დარბაზები მოაწყო“.

თბილისის 123-ე საჯარო სკოლაში კი ბავშვებს ის უხარიათ, რომ მალე მათ ბუფეტში საჭმელს „მაკდონალდსი“ შეიტანს. სკოლის მებუფეტე, დეიდა ინეზა შესვენებებზე ათობით ხაჭაპურს, ლობიანს, პურში ჩადებულ შემწვარ სოსისს, ჩიპსებსა და „კოკა-კოლას“ ყიდის. „ბავშვებს ისედაც 5-წუთიანი შესვენებები აქვთ, მაინც ვერ მოასწრებენ წვნიანის ან რაიმე კერძის ჭამას“, – ამბობს ის, – „მალე მენიუს შეიძლება, ნამცხვარიც დავამატოთ“.

არასწორი კვებით გამოწვეული სიმსუქნე განსაკუთრებით საშიში ბავშვებისთვისაა. ექიმები ამბობენ, რომ ჭარბი წონა სერიოზულად ზრდის მოზარდებში ისეთი დაავადებების რისკს, როგორიცაა მაღალი წნევა, კუჭ-ნაწლავის პათოლოგიები, ფსიქოლოგიური გადახრები, დაბალი თვითშეფასებით გამოწვეული დეპრესია. ქართველი დიეტოლოგების თქმით კი, ბავშვებში ჭარბი წონა, ჰეპატოზის, ანუ ღვიძლის გაცხიმოვნების მიზეზი ხდება.

შტატებში სწორი კვების ბუმი 1990-იანი წლებიდან დაიწყო, როცა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სწორი კვების პირამიდა, რომლის პლაკატებიც რამდენიმე წელიწადში თითქმის ყველა სკოლასა და სახელმწიფო სტრუქტურაში გამოაკრეს. მილიონობით სხვა საძიებო რესურსთან ერთად, ფუნქციონირებს დიეტოლოგიის სამთავრობო ოფიციალური ვებ-გვერდიც.

პრობლემის ასე სერიოზულად აღქმის მიზეზი ისაა, რომ ამერიკაში ბავშვების 30%-ს ჭარბი წონის პრობლემა აქვს და განვითარებულ ქვეყნებს შორის ამერიკა ყველაზე „მსუქან“ ნაციად ითვლება.

საქართველოში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ რამდენ ბავშვს აქვს ჭარბი წონის პრობლემა. არ ჩატარებულა სრულფასოვანი კვლევა, რომელიც დაადგენდა, თუნდაც რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადარჩებოდა, მას რომ სწორად კვების ელემენტარული წესები დაეცვა.

კვების სპეციალისტთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ ჯანსაღი კვებისთვის საჭირო რეცეპტები მომავალში კი არა, წარსულში უნდა ვეძებოთ, თუნდაც რელიგიურ წეს-ჩვეულებებში.

მართალია, მართლმადიდებელთათვის მარხვის უპირველესი დანიშნულება სულის განწმენდაა, მაგრამ კვების შეზღუდვით ადამიანის ორგანოებიც იწმინდება. წელიწადში 4 მარხვა, რაც ჯამში დაახლოებით 118 დღეა, ასვენებს ღვიძლს, რომელიც ზედმეტი ცხიმის გადამუშავებით ზიანდება.

თუმცა, ეს იმ შემთხვევაშია ასე, თუ მარხვის საწყის და პირველად იდეას ვიცავთ. 1990-იან წლებში რელიგიურობის ახალი ტალღის დაწყების შემდეგ კი, მარხვის კულტურამ ჩვენთან სახე იცვალა და „გაწმენდის“ ფუნქციაც დაკარგა. „მარხვის დროს ადამიანები მიირთმევენ სამარხვო კარაქსა და მაიონეზს, რომელიც, ძირითადად, გენმოდიფიცირებულ სოიოზე მზადდება. აქვთ სამარხვო ყველი და ლამის ხინკალიც კი“, – ამბობს ასმათ კევლიშვილი.

კერძის არომატი, ფაქტურა, გემო და მათი სხვადასხვანაირი კომბინაცია – ჭამის დროს სიამოვნებას სწორედ ეს გვანიჭებს, თვითონ ჭამის პროცესს კი კულინარიულ თავგადასავლად აქცევს. ბევრს ჰგონია, რომ ჯანსაღი კვების გამო სწორედ ამ სიამოვნებაზე უნდა თქვას უარი. დიეტოლოგები კი საპირისპიროს გვიმტკიცებენ – ჯანსაღი კვება, პირველ რიგში, გემოვნების ყველა რეცეპტორის დაკმაყოფილებაა. მთავარია, ვიცოდეთ, როგორ შევძლოთ ეს:

- იკვებე სეზონურად – მხოლოდ იმ პროდუქტით, რაც იმ კონკრეტულ წელიწადის დროს ახასიათებს და ეს ინვესტიციის სახით საკუთარ ორგანიზმში ჩადებული სიმდიდრე იქნება.
- აკონტროლე შენი ულუფა – კერძებით გადატვირთულ სუფრაზე ეცადე, გაუძლო ცდუნებას.
- იცოდე რას ჭამ – ხაჭაპური შეიძლება, იყოს შენი გემოვნების განებივრების საშუალება და არა ყოველდღიური მენიუს ნაწილი.
- ჩაანაცვლე ერთი მეორეთი – ნატურალურ პროდუქტს სასარგებლო თვისებებს მხოლოდ მაშინ შეუნარჩუნებ, თუკი, სწორად მოამზადებ მას. მოხრაკვის ნაცვლად უცხიმოდ შეწვი, ანდა დაამზადე ორთქლზე.
- ჭამე ნელა – რაც უფრო დიდხანს ღეჭავ თითოეულ ლუკმას, მით უფრო კმაყოფილდები.
- დახარჯე იმდენი კალორია, რამდენსაც მიიღებ – ივარჯიშე!

თუმცა, ამ წესების ერთობლიობას ეფექტი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის „ათდღიან დიეტად“ კი არა, ადამიანის ცხოვრების წესად იქცევა.

„მინდა ვიცოდე, რა გავაკეთო იმისთვის, რომ გასტრიტი არ დამემართოს, კუჭი არ დამიზიანდეს და 50 წლის ასაკში ინფარქტით არ მოვკვდე. ამას ვაჩვევ ჩემს მეუღლესაც და ორი წლის შვილსაც“.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების ბავსკლება საქართველოში

2008	2009
სულ 198,957 შემთხვევა	სულ 280,680 შემთხვევა

ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები საქართველოში

2008	2009
სულ 119,864 შემთხვევა	სულ 124,793 შემთხვევა

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების ბავსკლება 15 ნლამდე ბავშვებში საქართველოში

2008	2009
სულ 24,501 შემთხვევა	სულ 25,164 შემთხვევა

ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები, 15 ნლამდე ბავშვებში საქართველოში

2008	2009
სულ 9356 შემთხვევა	სულ 9053 შემთხვევა

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემები

ეთოობა ეძღვიებაში

რა არის მთავარი სხვაობა 1997 წლის და დღევანდელ საქართველოს შორის – ამის ახსნა ადვილი არაა, მაგრამ მაინც შევეცდები.

მარკ მალენი

დავიწყოთ იმით, რომ ბევრი რამ, მართლაც, გამოსწორდა. ვფიქრობ, ამაზე დავა ზედმეტია. იმ პერიოდში საქართველო საშინელ ომებში იყო გახვეული. მიუხედავად იმისა, რომ როდესაც მე ჩამოვედი, ბრძოლები აღარ მიმდინარეობდა, საზოგადოებას არც გაუმჯობესების ნიშნები ეტყობოდა. კორუფცია დღითი დღე იზრდებოდა, ძალიან ცოტა ადამიანი იყო დასაქმებული. ვინც მუშაობდა, იქიდანაც ცოტას თუ ჰქონდა ნორმალური ხელფასი. ადამიანები, რომლებსაც საქართველოს იმედი ჰქონდათ, შიშობდნენ, რომ საქართველოს ამ სიტუაციიდან თავი შეიძლება, ვერასდროს დაეღწია. ცოტას თუ სჯეროდა შევარდნაძის, მაგრამ ის ნამდვილად სჯობდა ყველა სხვა ალტერნატივას. მხოლოდ პარლამენტში მყოფი ახალგაზრდა თაობა იძლეოდა იმედს. მაგრამ ყოველდღიური ცხოვრება ძალიან დამთრგუნველი იყო. ზამთარში ცხოვრება სითბოს მოპოვებისთვის ბრძოლად იქცეოდა ხოლმე. უსაფრთხოების განცდა თითქმის არ არსებობდა. ბიუროკრატია ჯერ კიდევ საბჭოთა ანეკდოტების დონის იყო. ჩანდა, თითქოს ყველაფერი იხრწნებოდა.

ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ჯგუფებად დაიყვნენ, ნაწილობრივ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გამოც.

მას შემდეგ, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რაღაცები ნამდვილად გაუმჯობესდა. გზები უკეთესია, ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა, გაზითა და წყლით მომარაგებაც უზრუნველყოფილია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფული ღირს და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრ ადამიანს ამ მომსახურებების საფასურის გადახდა ძალიან უჭირს. ამის მიუხედავად, ბევრი ადამიანი, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით მაინც, უფრო მეტად უზრუნველყოფილია, ვიდრე 13 წლის წინ.

ერთი რამ, რისი მოყოლაც უფრო რთულია, ის არის, თუ როგორ შეეძლო გაუმართავ ინფრასტრუქტურას ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება. შევარდნაძის დროს, ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანს ხელი რამდენჯერმე მაინც ეშლებოდა. დღეს თუ ოფისებში მომუშავე ადამიანებს მთელი დღე საკუთარი კომპიუტერის ეკრანის წინ ჯდომა და მუშაობა შეუძლია, მაშინ ასე არ იყო. სინათლე წამდაუწუმ ქრებოდა და სამუშაოს ნაცვლად, სხვა რამის გაკეთება გიწევდა. ხშირად ეს ადამიანებთან უბრალო საუბარი იყო. ალბათ, ოჯახებში, სადაც სახლში პიანინო ჰქონდათ, ბავშვებმა ლამაზად დაკვრა მხოლოდ იმიტომ ისწავლეს, რომ შუქი მთელი დღე არ იყო და არც ეზოში თამაში იყო უსაფრთხო. მახსოვს, როდესაც მეგობრები გეწვეოდნენ და სინათლე ჩაქრებოდა, ეს გაზიარებული განცდა იწვევდა ისეთ სოციალურ შეკავშირებას, რომელიც მხოლოდ სანთლის შუქზე შეიძლება, მოხდეს.

არ შეცდეთ – არ იფიქროთ, არჩევანიც რომ მქონდეს, იმ პერიოდში დაბრუნებას ვისურვებდი. სულ არ მენატრება იმედგაცრუებები და სირთულეები. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ სირთულეების გაზიარებით შექმნილი სიახლოვის ნაკლებობა ნამდვილად მაქვს. ისე ჩანს, რომ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ჯგუფებად დაიყვნენ, ნაწილობრივ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გამოც. დღეს ნაკლებ იძულებით ამ შემთხვევით კომუნიკაციას ვამყარებთ. რამდენიმესაათიან რიგში ერთად აღარ ვდგავართ.

გაიზარდა დისტანცია მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მანქანის ქონა ხომ იზოლაციის მთავარი საშუალებაა, ქუჩებში ადამიანებს ტროტუარი ათანაბრებს. ახლა საზოგადოების ერთ ფენას ფეხით სიარული მხოლოდ შენობიდან მანქანამდე უწევს. ამგვარ იზოლაციას უნდა ვუფრთხილდეთ – საზოგადოებას, სადაც სხვადასხვა ფენები ერთმანეთისგან იზოლაციაში ცხოვრობენ, გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემები ექმნება. შესაძლოა, იზოლაციის მიზეზი ის არის, რომ საქართველოში კონტრასტი სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის გაიზარდა. ან ის, რომ ციხეებში ძალიან ბევრი ადამიანია. ან შეიძლება, ყველაფერი მანქანების ბრალია, ან სხვა ფაქტორების.... რაც უნდა იყოს, ეს ისაა, რაზეც უნდა დავფიქრდეთ. ისევ რიგში დგომა ან უშუქობაში ცხოვრება არ უნდა დაგვჭირდეს, რომ ისეთ ადამიანებსაც გავესაუბროთ ხოლმე, ვინც ჩვენი ახლო წრის მიღმაა.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

ამერიკა

მეჩეთი, ობოხს ამეხიჯული ლიბერალიზმის გამოცდა

დადგება თუ არა კანონი საზოგადოების სენტიმენტებზე მაღლა?

გიორგი ცხადაია

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მემორიალთან მეჩეთის აშენების შესახებ მითქმა-მოთქმა 2010 წლის მაისიდან დაიწყო, როდესაც პროექტი პირველად წარუდგინეს ქვემო მანჰეტენის მცხოვრებთა საბჭოს. ამის შემდეგ ამერიკის ნაციონალურ მედიაში ეს თემა ბევრჯერ განიხილეს, უამრავი აზრი გამოთქვეს და რადიკალურად განსხვავებული ემოციები გამოხატეს. ლიბერალები მეჩეთის აშენების იდეას თავგამოდებით იცავდნენ, კონსერვატორები კი პატრიოტული სიტყვებით გამოდიოდნენ და 11 სექტემბერს დაღუპულთა პატივისცემაზე საუბრობდნენ. პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ფრთხილობს და ამ საკითხზე აზრის გამოხატვას ერიდება.

თავად პრეზიდენტმა ობამამაც კი, რომელმაც თავიდან თითქოს მეჩეთის აშენების იდეა მოიწონა, მოგვიანებით განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს პროექტის ავტორების უფლებას, ააშენონ მეჩეთი, თუმცა არ არის დარწმუნებული ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობაში. აღნიშნული განცხადება, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ უფლება არ-

მეჩეთის მშენებლობას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს

სებობს, პოლიტიკური და სახალხო ნება კი – ალბათ, არა.

ამ ფონზე, განსაკუთრებით საინტერესო იმათი კომენტარები იყო, ვინც გამოკვეთილად არც ლიბერალ და არც კონსერვატორ აქტივისტებში არ ეწერება. ეს ადამიანები ხშირად თავს „ზომიერებს“ უწოდებენ. მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი საჯარო ფიგურა: ჟურნალ „ნიუსვიკის“ მესვეტე და CNN-ის ჟურნალისტი ფარიდ ზაქარია და ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი. მათი პოზიციები, ამ შემთხვევაში, უჩვეულოდ მკვეთრი და შეიძლება ითქვას, რადიკალური იყო.

ზაქარიას და ბლუმბერგის გამოსვლები კონსერვატორი იდეოლოგების და მათი მხარდამჭერებისთვის მოულოდნელი დარტყმა იყო. ფარიდ ზაქარია იქამდეც კი მივიდა, რომ „ანტი-დეფამაციის ლიგას“, რომელიც მეჩეთის აშენების წინააღმდეგ გამოდის, ჰუბერტ ჰამფრის თავისუფლების პრიზი უკან დაუბრუნა. მაიკლ ბლუმბერგმა კი თავის სიტყვაში, რომელიც სამოქალაქო ღირებულებების დაცვის საუკეთესო ნიმუში იყო, ნიუ-იორკის ისტორიულ წარსულსა და მსოფლიო იმიჯზე ისაუბრა. მისი განცხადებით, მეჩეთის აშენებით, „ჩვენ პატივს მივაგებთ ამერიკულ ღირებულებებს და შევინარჩუნებთ ნიუ-იორკს, როგორც ყველაზე გახსნილ, მრავალფეროვან, ტოლერანტულ და თავისუფალ ქალაქს მსოფლიოში.“ ბლუმბერგიც და ზაქარიაც ამ შემთხვევაში აშკარა უმცირესობაში აღმოჩდნენ.

მიზეზი, რის გამოც პოლიტიკოსები ფრთხილობენ, სახალხო სენტიმენტებია, რომლებსაც ორი ფაქტორი ამძაფრებს: კონსერვატორი იდეოლოგების და ბლოგერების დემაგოგია მეჩეთის აშენების იდეის გარშემო და 11 სექტემბერს დაღუპულთა ნათესავების ემოციური გამოსვლები.

პირველ შემთხვევაში ყველაფერი აშკარაა: მეჩეთი რომელმაც მსგავსი დაპირისპირება გამოიწვია არა იმდენად რელიგიური, არამედ საზოგადოებრივი ცენტრია. მას ოფიციალურად სწორედ ასე ჰქვია – „მუსლიმური საზოგადოებრივი ცენტრი“.

შენობას, რომელსაც ერთობ ტექნიკური და არარელიგიური სახელი – Park51 დაერქმევა, 15 სართული ექნება და მასში სალოცავი ცენტრის გარდა, აუზი და 500-კაციანი აუდიტორია განთავსდება. აქედან გამომდინარე, ისიც კი სადავოა, თუ რამდენად შეიძლება, აღნიშნულ პროექტს „მეჩეთი“ ვუწოდოთ. პროექტის ერთ-ერთი ავტორის,

იმამ ფეიზალ აბდულ რაუფის განცხადებით, მათ სურთ, რომ მანჰეტენზე არსებული იუდაისტური საზოგადოებრივი ცენტრის მსგავსი კომპლექსი ააგონ.

იმამი პროექტს თავის მეუღლესთან დეიზი ხანთან და ნიუ-იორკში დაბადებულ, წარმოშობით არაბ ინვესტორთან – შარიფ ალ გამალთან ერთად ახორციელებს. იმამი ცნობილია ისლამისტური ტერორიზმის კრიტიკითა და მშვიდობიანი ისლამის იდეების გავრცელებით. მას კრიტიკული პოზიცია უჭირავს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართაც, თუმცა ამავე დროს, მიიჩნევს, რომ ამერიკა, თავისი რელიგიური ტოლერანტობითა და მრავალფეროვნებით, იდეალური ისლამური საზოგადოებაა. ის ასევე მხარს უჭერს ქალთა უფლებებს.

სახალხო სენტიმენტებს 11 სექტემბერს დაღუპულთა ნათესავების პოზიცია ამძაფრებს. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ „მეჩეთის“ აშენება მიცვალებულთა და ტრაგედიის ადგილის შეურაცხყოფაა.

კონსერვატორი იდეოლოგებისა და ბლოგერების ნაწილი ამტკიცებს, რომ მუსლიმები მეჩეთებს დაპყრობილ ტერიტორიებზე აგებენ. ამიტომ, 11 სექტემბრის მემორიალთან მსგავსი მშენებლობის განხორციელება მიუღებელია. მათი აზრით, ამაზე მიუთითებს პროექტის თავდაპირველი სახელწოდებაც – „კორდობის მეჩეთი“. კორდობა არაბების მიერ დაპყრობილი ესპანეთის დედაქალაქი იყო, რომელიც თავისი რელიგიური მრავალფეროვნებით იყო ცნობილი.

რადიკალური კონსერვატორების ერთ-ერთმა კერპმა – სარა პეილინმა მეჩეთის თემა თავისი პოლიტიკური კამპანიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უკვე აქცია. მან განაცხადა, რომ პროექტის ავტორებმა ამგვარი პროვოკაციისგან თავი უნდა შეიკავონ. პეილინმა მუსლიმებს სოციალური ქსელის, „ტვიტერის“ საშუალებით მოუწოდა, რომ უარი თქვან მეჩეთის აშენებაზე, რადგან ეს იდეა „გულში ესობა“ ამერიკელებს და ხელს უშლის 11 სექტემბრის ტრაგედიიდან ამოსვლას.

მხარეებს შორის მსგავსი დაპირისპირება და პოლიტიკოსების სიფრთხილე ამერიკული დემოკრატიის იმ ფუნდამენტურ პრობლემაზე გვაფიქრებს, რომელიც ჯერ კიდევ 1835 წელს ფრანგმა პოლიტიკის ფილოსოფოსმა – ალექსის დე ტოკვილმა შენიშნა. ამ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება უმცირესობის დაცვის ლიბერალური პრინციპი და უმრავლესობის შეხედულების გათვალისწინების დემოკრატიული იმპულსი. ერთის მიხედვით, სახელმწიფო არის იმისი გარანტია, რომ უმცირესობების უმრავლესობის ტირანიისგან დაიცავს და ეს ქვეყნის ურყევ მთავარ სამართლებრივ დოკუმენტში – კონსტიტუციაში არის გაწერილი. მეორე მხრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს უმრავლესობის აზრისთვის უპირატესობის მინიჭების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა არჩევნები და რეფერენდუმები. პოლიტიკოსების იმ ნაწილს, ვისაც ამ საკითხის შესახებ ხმის ამოღება და მეჩეთის აშენების იდეის ღიად დაცვა უჭირს, სავარაუდოდ, სწორედ მოახლოებული კონგრესის არჩევნების შიში აქვს.

მეჩეთი, რომელმაც მსგავსი დაპირისპირება გამოიწვია, არა იმდენად რელიგიური, არამედ საზოგადოებრივი ცენტრია. მას ოფიციალურად სწორედ ასე ჰქვია – „მუსლიმური საზოგადოებრივი ცენტრი“.

დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის ამგვარი დაპირისპირების მომსწრენი მსგავს თემაზე უკვე გავხდით. შვეიცარიაში, 2009 წლის ნოემბერში, საყოველთაო რეფერენდუმის ძალით შვეიცარიის ფედერალურ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას მიაღწიეს, პრობლემა გადმოსცა, როდესაც თქვა, რომ ამერიკაში კანონი საზოგადოების სენტიმენტებზე მაღლა უნდა დადგეს.

ამერიკის კონსტიტუციით მსგავს საკითხებზე – მეჩეთის აშენებაზე რეფერენდუმის ჩატარება იკრძალება, მაგრამ სახელმწიფოს და პოლიტიკოსების მკვეთრი პოზიციის გარეშე, ადვილი შესაძლებელია, მეჩეთის პროექტის ავტორები შანტაჟის ქვეშ მოექცნენ და ადამიანის უნივერსალურ უფლებებს გაუმართლებელი ზიანი მიადგეს. ყველა მხარე ელოდება, თუ როგორ გადაწყდება ეს, ერთი შეხედვით, არც ისე მნიშვნელოვანი პრობლემა – შესაძლოა, ამერიკის პოლიტიკაში სწორედ ამგვარმა დაპირისპირებებმა მასშტაბური ტექტონიკური ძვრები გამოიწვიოს.

იმამ ფეიზალმა და მისმა მეუღლემ პროექტის გამოცხადების შემდეგ არაერთი მუქარის წერილი მიიღეს. მისმა მეუღლემ, 3 ოქტომბერს განაცხადა, რომ მათი სიცოცხლე საფრთხეშია. თავად იმამი რამდენიმე ღონისძიებას უსაფრთხოების მიზეზით ვერ დაესწრო.

ირანი

ხიალის შავი მომავალი

არის თუ არა ეროვნული ვალუტის ინფლაცია ირანში პოლიტიკური რეჟიმის რყევის პირველი ნიშანი?

ლექსო ჩქარეული

ირანის ეროვნული ვალუტის – რიალის ინფლაციამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ბოლო სამი-ოთხი თვის მანძილზე თითქმის 10-ჯერ გაიზარდა სასურსათო პროდუქტის ფასი და რაც მთავარია, სპეციალისტები დამაიმედებელ პროგნოზს ვერც სამომავლოდ აკეთებენ. მართალია, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედიაში ხშირად ჩნდება ამა თუ იმ ექსპერტის მოსაზრებაზე დამყარებული ოპტიმისტური განცხადებები, მაგრამ ამ განცხადებათა მიზანი პოპულისტურია და ისინი რეალურ ვითარებას არ ასახავენ.

რეალობა კი ლამის ბავშვმაც იცის: უმძიმესმა საერთაშორისო ეკონომიკურმა ემბარგომ ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ განვითარების მცირედი შანსიც არ დაუტოვა. თეირანის ბირჟაზე გამეფებული სიტუაცია ბოლო ხანს თითქმის უცვლელია: ბირჟას ერთი მეორის მიყოლებით ტოვებენ აქამდე მოქმედი მსხვილი საერთაშორისო მოთამაშეები და მათ კვალდაკვალ ერთმანეთის მიყოლებით ეცემა დიდი ეროვნული საწარმოების აქციები.

ვითარების დამძიმება გამოწვეულია კონკრეტული გადაწყვეტილებით, რომელიც 2010 წლის 14 ივნისს ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე მიიღეს. ამ გადაწყვეტილების თანახმად, კიდევ უფრო გამკაცრდა ირანის მიმართ დაკისრებული ეკონომიკური სანქციები. კერძოდ: აიკრძალა ირანის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში რაიმე სახის კაპიტალდაბანდება, ამ მრეწველობისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და აღჭურვილობის ირანისათვის გადაცემა და ასევე რაიმე სახის მომსახურების გაწევა.

თუმცა, ევროსაბჭოს საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა კატრინ ეშთვანმა, ახალი ეკონომიკური სანქციების გამოცხადებისას, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ამ აკრძალვების მიუხედავად, ევროსაბჭო კვლავაც ირანთან დიალოგის გაგრძელების მომხრეა.

ირანული წარმოშობის დოქტორ სეიედ სოლეიმან საფავის აზრით, რომელიც ლონდონში სამშვიდობო პროცესების შემსწავლელ საერთაშორისო ცენტრს ხელმძღვანელობს, „სამწუხაროდ, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოების შეხედულება ირანში არსებული ვითარების შესახებ ამ ქვეყნის ატომური საქმიანობის თაობაზე გავრცელებულ მსოფლიო საზოგადოებრიობის რეზოლუციათა ზეგავლენას განიცდის და, რა თქმა უნდა, ეს ვითარება, მთლიანობაში, დიდად ეწინააღმდეგება ირანის ეროვნულ ინტერესებს. რეზოლუციათა გარდა, დასავლეთის ქვეყნები და მათი რეგიონული მოკავშირეები, საკუთარ დაქვემდებარებაში არსებული საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, კიდევ უფრო წამლავენ საზოგადოებრივი აზრის სივრცეს ისლამური ირანის წინააღმდეგ.“

საფავის შენიშვნით, „ასეთ ვითარებაში, სამწუხაროდ, ირანის ეროვნულმა ტელერადიო კომიტეტმა, მიუხედავად ასიათასობით დოლარის დანახარჯისა, ამ ვითარების გამოსასწორებლად და მსოფლიოში ირანის სახის უკეთესად წარმოჩენისათვის ვერაფერი იღონა.“

იმავე ექსპერტის აზრით, ირანის წინააღმდეგ დასავლური პოლიტიკის გამარჯვება არა იმდენად დასავლელთა ძლიერებას ააშკარავებს, რამდენადაც ირანის დღევანდელი ხელისუფლების დიპლომატიური აპარატის სისუსტეებს უჩვენებს, რომელმაც ვერ შეძლო ირანელი ხალხის კანონიერი ინტერესები მსოფლიო არენაზე განუხრელად, თანმიმდევრულად და ლოგიკურად დაეცვა.“

ვიდრე ირანის ოფიციალურ პრესაში ადგილობრივი ექსპერტები ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითების არაარსებით მიზეზებზე საუბრით ერთობიან და ამას ხან ტელევიზიის შეფს, ხანაც უცხოეთის მიერ მართულ ოპოზიციას აბრალებენ, ამასობაში სულ უფრო ღრმავდება კრიზისი, რაც, უპირველესად, მოსახლეობის შედარებით დაბალ ფენებზე აისახება.

თუ რამდენიმე წლის წინ თეირანსა და ირანის სხვა დიდ ქალაქებში, პრაქტიკულად, მათხოვარს ვერ ნახავდით, ახლა ქუჩები სავსეა ხელგაწვდილი ქალებითა და ბავშვებით, სოფლიდან საშოვარზე ჩამოსული ახალგაზრდებითა და, რაც მთავარია, მოწყალების მთხოვნელი ჯარისკაცებით, რაც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს წახნაგს ააშკარავებს: არმია, ან ყოველ შემთხვევაში ამ არმიის გარკვეული შენაერთები და ნაწილები, მნიშვნელოვნად არის დემორალიზებული.

■ უმძიმესმა საერთაშორისო ეკონომიკურმა ემბარგომ ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ განვითარების მცირედი შანსიც არ დაუტოვა.

ქვეყნის დღევანდელი მთავრობა და პრეზიდენტი არსებული ვითარების გამართლებას პოლიტიკური რიტორიკით ცდილობს.

მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, ამ რეზოლუციის უმთავრესი მიზანი იყო ის, რომ სიონისტური რეჟიმი, რომელიც მათი დანაშაულებებისა და შეთქმულებრივი გეგმების აღმასრულებელი იარაღია, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უმძიმესი ზეწოლიდან გამოეყვანათ; მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ირანელი ერი და მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ერები ფხიზლად არიან და სათანადო პასუხსაც გასცემენ ამ რეჟიმის დანაშაულებებს!“

თუმცა, საქმე ისაა, რომ უფულობითა და მატერიალური გასაჭირით თავმობეზრებული ირანელები სულ უფრო ნაკლებად ემხრობიან მსგავს რიტორიკას და მზად არიან, მათი და მათი შვილების უპირველესი მტერი, არა სიონისტური რეჟიმის, არამედ საკუთარი მთავრობის უმაღლეს ეშელონებში ეძიონ.

36 წლის ალი, რომელიც თეირანის ბაზარში ვაჭრობს, ამბობს, რომ თავზარდაცემულია ქვეყანაში შექმნილი ვითარებით და ჰგონია, რომ მალე მასა და მისნაირებს შიმშილით სიკვდილი ემუქრება, რადგან მთავრობის უგუნურმა პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლები ისე შეარყია, რომ იძულებულია, თავისი საქონლის ფასი დაახლოებით ხუთჯერ გაზარდოს. ამან მუშტარი და შესაბამისად, შემოსავალი შეუმცირა. „როცა პირველადი მოხმარების საგნები კატასტროფულად გაძვირდა, მის საქონელს მუშტარი საიდან ეყოლება!“

ალი მომავალს დიდი შიშით შეჰყურებს, რადგან დღევანდელი სიტუაცია ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, ნამდვილი კატასტროფა ბენზინის ფასების ლიბერალიზაციის შემდეგ დაიწყება, როცა მთავრობა ბენზინის სამომხმარებლო ფასის ნაწილს აღარ დაფარავს და მოსახლეობა იძულებული იქნება, ამ სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტში ათჯერ მეტი გადაიხადოს. ეს კი ავტომატურად გამოიწვევს ფასების ზრდას ნებისმიერ სხვა პროდუქციაზე.

ასე რომ, არც თუ შორეულ მომავალში ირანი, რომელიც მუდმივად გამოირჩეოდა სიიაფითა და სოციალური დაცვის პროგრამათა ეფექტიანობით, მსოფლიოს ერთ-ერთი უძვირესი ქვეყანა გახდება, სადაც, პრაქტიკულად, არანაირი სოციალური პროგრამა აღარ იმუშავებს.

აქამდე, უმძიმეს პოლიტიკურ რეჟიმს არსებობას უნარჩუნებდა ასე თუ ისე სწორი მენეჯმენტი, რაც მოსახლეობის საშუალო ფენის სასიცოცხლო ინტერესთა გათვალისწინებაში ვლინდებოდა. ბოლო ხანებამდე ირანის ისლამური მთავრობა ახერხებდა, ბალანსი ისე დაეცვა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, შემოსავლისა და სურსათის ფასების ხელმისაწვდომობის გამო, კმაყოფილი ჰყოლოდა.

ბოლო დროს კი ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ამან ქვეყანაში სოციალური უკმაყოფილება უკიდურესად გაამძაფრა. ირანი დენთის კასრზე ზის და ბენზინის ფასის ლიბერალიზაცია შესაძლოა, მართლაც ალალბედზე გაკრული ასანთი აღმოჩნდეს.



ჩრდილოეთი კავკასია

ოი სტრატეგიას შორის

რატომ შეუძლია საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთზე გამარჯვება.

ვალერი ძუცევი

11 ოქტომბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. ქართულმა მხარემ გამარტივებული რეჟიმის დაწესების მიზეზად ჰუმანიტარული და კომერციული ინტერესები დაასახელა.

ამ გადაწყვეტილებამ რუსეთის მყისიერი ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. 12 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამას პროპაგანდული ნაბიჯი უწოდა. მეტიც, რუსეთის ფედერაციის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ ტორშინმა საქართველოს ბრალი დასდო ჩრდილოეთ კავკასიელ ბოევიკებთან ურთიერთობის გამარტივების მცდელობაში. ტორშინმა, როგორც ჩანს, ვერ გააცნობიერა, რომ თავისი ამ განცხადებით ყველა ჩრდილოეთკავკასიელი იატაკქვეშა შეიარაღებაში მონაწილეობაში დაადანაშაულა.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, გარკვეულწილად, იმეორებს თავად რუსეთის ნაბიჯებს. მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას ჯერ კიდევ აღიარებდა, რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესა, ხოლო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ყაზბეგის რეგიონის მოსახლეობისთვის კი უვიზო რეჟიმი შემოიღო. 2008 წლის ივნისში მედვედევის ბრძანებით უვიზო რეჟიმი ბალტიის ქვეყნების იმ რუსულად მოლაპარაკე მოსახლეობისთვისაც დაწესდა, რომლებიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მოქალაქეობის მიღებას ვერ ახერხებდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის საზღვრების გახსნა საქართველოს ოფიციალური მხარის განცხადებით, სააკაშვილის მიერ 23 სექტემბერს გაეროში თავისუფალი, სტაბილური და ერთიანი კავკასიის შესახებ გაკეთებული მოხსენების ლოგიკური გაგრძელებაა. ნათელია, რომ თბილისის ასეთი ნაბიჯის შემდეგ ბურთი რუსეთის მოედანზეა. ახლა მისი ჯერია, რომ კავკასიასთან დაკავშირებით რამე ახალი მოიფიქროს. აქამდე ყველა რეაქცია, რეფლექსის დონეზე, შემდეგი ლოზუნგით გამოიხატებოდა: „ყველაფერი, რასაც საქართველო აკეთებს, რუსეთისთვის ავის მომტანია.“

მოსალოდნელია, რომ მალე მოსკოვი გაიაზრებს, რაც მოხდა და კონკრეტულ ქმედებებზე გადავა. თუმცა, საეჭვოა, რომ რუსეთის მკაცრმა ნაბიჯებმა – თუნდაც, ყაზბეგი-ზემო ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის კიდევ ერთხელ ჩაკეტვამ, მას რაიმე სარგებელი მოუტანოს.

თბილისის ასეთი ნაბიჯის შემდეგ ბურთი რუსეთის მოედანზეა. ახლა მისი ჯერია, რომ კავკასიასთან დაკავშირებით რამე ახალი მოიფიქროს. აქამდე ყველა რეაქცია, რეფლექსის დონეზე, შემდეგი ლოზუნგით გამოიხატებოდა: „ყველაფერი, რასაც საქართველო აკეთებს, რუსეთისთვის ავის მომტანია.“

უდავოა, რომ ჩრდილოკავკასიელებს, რომელთაც საქართველოსთან საქმიანი, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებთ, მიმოსვლის გამარტივებამ დიდი სიხარული მიანიჭა. საქართველომ ამ ნაბიჯით ნაწილობრივ წერტილი დაუსვა ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლაციას.

საკუთარი იმიჯის ამაღლებასთან ერთად, საზღვრის გახსნით საქართველო მეზობელი ტერიტორიებიდან ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას და დამატებით ტურისტებს მიიღებს. ეს საკმაოდ რეალისტური სცენარია, რადგან საქართველოში მომსახურების დონე და დასვენების ინდუსტრია ბევრად სჯობს რუსეთისას. ამას გარდა, ბევრი კანონმორჩილი კავკასიელისთვის რუსეთის სხვა რეგიონებში გამგზავრებას შინაგან საქმეთა უწყებების თანამშრომლებთან და რუს ნაცისტებთან სახიფათო შეხვედრები ახლავს თან.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის ვასილი პისკარევის განცხადებით, 2005 წელს ნაციონალისტურ ნიადაგზე 152 მკვლელობის შემთხვევა დაფიქსირდა. უკვე 2009 წელს ამ მაჩვენებელმა 548-ს მიაღწია. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის თავდასხმების ძირითადი მსხვერპლი კავკასიის რესპუბლიკების მცხოვრებნი არიან, ამასთან არა რაიმე ტერიტორიული ნიშნით, არამედ კანის ფერის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციაში მოძრაობა ყოველთვის კომფორტული და უსაფრთხო არ არის.

ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის დანარჩენ სამყაროსთან კონტაქტის გაძლიერება სრულიად შეესაბამება თავად რუსეთის ხელისუფლების სტრატეგიას (ყოველ შემთხვევაში მის დეკლარირებულ ნაწილს). ამიტომაც, ორმაგად გასაკვირია, რატომ ჰქონდათ რუსეთის ოფიციალურ პირებს ასეთი მწვავე რეაქცია, როცა საქართველომ ამ ქვეყნებს სწორედ ეს შანსი მისცა.

სექტემბრის დასაწყიში რუსეთის ფედერაციამ 2025 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია გამოაქვეყნა. ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და მისი ჩრდილო-სამხრეთის კორიდორში ჩართვა დასახელდა.

ავტორების სურვილის მიუხედავად, დაეცვათ პოლიტკორექტულობა, სტრატეგიაში მაინც გამოსჭვივის რუსული ნაციონალიზმი. მაგალითად, იგეგმება სპეციალური სამუშაო-საემიგრაციო სააგენტოს შექმნა, რომელიც რუსეთის რეგიონებში ჩრდილოეთ კავკასიელი სამუშაო ძალის გაგზავნითა და დასაქმებით იქნება დაკავებული. მოსკოვი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული უმუშევრობა, რომელიც ზოგ რესპუბლიკაში 50 პროცენტია, სეპარატისტული სენტიმენტების გაღვივებას უწყობს ხელს.

სტრატეგია რეგიონში ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდასაც ისახავს მიზნად. მაგალითისთვის, იგეგმება: „რუსული მოსახლეობისთვის სოციალური პრეფერენციების

შექმნა, მათ შორის განათლების და მეცნიერების სფეროში, ადგილობრივი რუსი მოსახლეობისთვის უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო განყოფილებებში კვოტების გამოყოფა, სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების გაწევა, განსაკუთრებით – მათი კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში.“

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილების მიუხედავად, „ხელი მოჰკიდოს“ ჩრდილოეთ კავკასიას, ამ სტრატეგიის ქმედუნარიანობა სერიოზულ ეჭვს იწვევს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ე.წ. ტურისტული სამთო-სათხილამურო კურორტის შექმნის იდეა.

ნალების, ასევე საპორტო პუნქტების აშენება. საკრუიზო მარშრუტები შესაძლოა, განხორციელდეს როგორც ქვეყნის ცენტრის, ასევე ვოლგა-დონის არხის გავლით ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის ბასეინის ქვეყნების მიმართულებით.“ ამ სტრატეგიის ავტორებს, როგორც ჩანს, არავინ უთხრა, რომ დაღესტნის რკინიგზაზე თითქმის ყოველ კვირას ხდება უბედური შემთხვევა, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ მკვლელობებსა და შეიარაღებულ შეტაკებებზე.

სტრატეგიაში ქართველი მკითხველისთვის მეტისმეტად საინტერესო დეტალებია. კერძოდ, საუბარია „ალაგირ-ქვემო ზარამაგიდან საქართველოს საზღვრამდე მიმავალი საავტომობილო

პირობა რეგიონის მოსახლეობის ასეთი მონაცემები.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია უდავოდ ასახავს რუსული საზოგადოების და ხელისუფლების განწყობას, შეზღუდული ფინანსური რესურსებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გათვალისწინებით, მოსკოვის მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის განვითარებაში ფინანსური ინვესტიციების ზრდა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

პირიქით, მოსალოდნელია ძალოვანი უწყებებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებზე ადმინისტრაციული გავლენის გაძლიერება, რადგან ეს შედარებით ნაკლებ ფინანსებს მოითხოვს. დღეს იქ, პრაქტიკულად, „მეორე

შეზღუდული ფინანსური რესურსებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გათვალისწინებით, მოსკოვის მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის განვითარებაში ფინანსური ინვესტიციების ზრდა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

გაზეთ Коммерсант-Дэйли-ის ინფორმაციით, კურორტის გაშენება 15 მილიონ აშშ დოლარამდე დაჯდება და ამ თანხის ამოღებას ინვესტორს 10 წელიწადში ჰპირდებიან. პროექტი ავსტრიის ალპური ზონის კურორტებისთვის დამახასიათებელი ტურისტების რაოდენობაზეა გათვლილი. რუსეთის ხელისუფლებამ დაფინანსების მოპოვების იმედით, პროექტი რამდენიმე მსხვილ საერთაშორისო ბანკს წარუდგინა, თუმცა უშედეგოდ. ეს გასაგებიცაა – მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში მეამბოხეები ყაბარდო-ბალყარეთის და დაღესტნის ორ ელექტროსადგურს დაესხნენ თავს.

რუსეთის სახელმწიფო სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ „რეგიონის საკურორტო ზონის, საკუთრივ სამგზავრო და საკრუიზო საზღვაო გადაზიდვების განვითარების მიზნით, აუცილებელია კასპიის ზღვის სანაპიროზე, მახაჩკალიდან დერბენტამდე საზღვაო სადგურების და სამგზავრო ტერმი-

გზის რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაზე.“ ეს ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთის მიერ აღიარებული სამხრეთ ოსეთისკენ მიმავალი გზაა.

დოკუმენტში ფაქტობრივ შეცდომებსაც შეხვდებით. მაგალითად, საუბარია ჩრდილოეთი კავკასიის ფედერალური ოლქის 13 მილიონიან მოსახლეობაზე, თუმცა რუსეთის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ოლქში მხოლოდ 9 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

კიდევ ერთი საგულისხმო რიცხვი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში არარეალურად მაღალ შობადობას ასახავს. ტექსტის ავტორების ცნობით, ამ ფედერალურ ოლქში 1990 წლიდან 2009 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა 1,68 პროცენტით გაიზარდა – და ეს რუსულად მოლაპარაკე და ადგილობრივი მოსახლეობის გადინების პირობებში. სინამდვილეში, სოციოლოგების ცნობით, დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში 2002 წლის აღწერა გააყალბეს. სწორედ ამან განა-

მდივნის“ საბჭოთა ინსტიტუტი მეფობს, როდესაც რესპუბლიკაში მეორე კაცს ყოველთვის ეთნიკურად რუსი წარმოადგენს. ჩრდილოეთ კავკასიაში პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად მუშაობისას ალექსანდრ ხლოპონინი რესპუბლიკების შიდა საქმეებში უპრეცედენტოდ ერეოდა. ის, ფაქტობრივად, კავკასიურ რესპუბლიკებს პირდაპირ მართავდა. რუსეთის სურვილი, რომ სტატუსის ფორმალურად გაუქმების გარეშე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებმა პოლიტიკური შინაარსი დაკარგონ – აშკარაა.

ამ პირობებში, საქართველოს გახსნილობა შესაძლოა, ჩრდილოკავკასიური ელიტისთვის სერიოზულ ალტერნატივად იქცეს. თუ დემოკრატიული საქართველო მოსაზღვრე რესპუბლიკებისთვის მიმზიდველ მოდელად იქცევა, საბოლოო ჯამში, რუსეთს რეგიონის ახალი რეალობების გათვალისწინება და კავკასიის პოლიტიკის ხელახლა დაგეგმვა მოუწევს.

თურქეთი და ევროკავშირი

თითქმის ევროპული თურქეთი

როგორია თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები და შეიძლება თუ არა ეს ქვეყანა ახლო მომავალში ევროკავშირის წევრი გახდეს?

ემილ სულეიმანოვი



ფოტო: თეთი ბარიბაბვილი

სტამბული, 2010 წლის ევროპის კულტურის დედაქალაქადაა გამოცხადებული, 2010

ბოლო რამდენიმე წელია, თურქეთის ევროინტეგრაციაზე ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო მსჯელობს. წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული შეხედულებები დომინირებს, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტებს ეყრდნობა: სოციალურ-პოლიტიკურით დაწყებული და გეოსტრატეგიულით დამთავრებული.

„მეტისმეტად მუსლიმური, მეტისმეტად ღარიბი და მეტისმეტად დიდი“ – თურქეთის წევრობის მოწინააღმდეგეთა პოზიცია ასე შეიძლება, განვაზოგადოთ.

მართლაც, თურქეთი უზარმაზარი ისლამური სახელმწიფოა, რომლის ტერიტორიის 95 პროცენტი გეოგრაფიულად აზიაში მდებარეობს. დღეისათვის, თურქეთის მოსახლეობა 75 მილიონს აჭარბებს და ეს ციფრი ყოველწლიურად იზრდება, მაშინ, როცა დემოგრაფიული ზრდა გაერთიანებულ ევროპაში, აგერ უკვე ათეული წელია, შეჩერებულია.

იმიგრანტი მუსლიმების შთამომავლებისგან ჩამოყალიბებულ დიასპორას (თურქები გერმანიაში, არაბები საფრანგეთში და ა.შ), პატარა ალბანეთს და ბოსნია-ჰერცოგოვინას თუ არ ჩავთვლით, ევროპის კონტინენტზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ისლამური საზოგადოებები არ არსებობს.

ბევრი ევროპელისთვის, განსაკუთრებით, რელიგიური კონსერვატორებისთვის, ქრისტიანობა გარკვეულწილად ევროპული იდენტობის განმსაზღვრელია. ამდენად, მუსლიმური თურქეთი, ვესტერნიზაციისკენ მიმართული რეფორმების მიუხედავად, ევროპის – ქრისტიანული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი ვერ გა-

ხდება. პირიქით, ბევრი ფიქრობს, რომ ის უცხო ელემენტი იქნება და „ევროპის ისლამიზაციის“ რისკ-ფაქტორი შეიძლება, გახდეს. თურქეთის წევრობის მოწინააღმდეგეები, რომელთაც მსგავსი არგუმენტი აქვთ, ევროპაში თურქულ დიასპორებზე მიუთითებენ, რომელთაც ინტეგრაციის მწვავე პრობლემა აქვთ.

თურქეთის წევრობის მოწინააღმდეგეებად, ძირითად, ის ქვეყნები და რეგიონები გამოდიან, სადაც მორწმუნეთა პროცენტული რაოდენობა მაღალია – განსაკუთრებით, კათოლიკური რწმენის აღმსარებლები და ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლის გამოცდილების მქონენი: ავსტრია, გერმანიის ბავარია და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ 10 წელიწადში თურქეთის მოსახლეობა დაახლოებით 100 მილიონი იქნება, იგი შეიძლება, ევროკავშირის დემოგრაფიულად ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ იქცეს. ეს კი, საკავშირო ინსტიტუტებში, მაგალითად, ევროპარლამენტში, ანკარის როლის დომინირებას გამოიწვევს.

ბევრი შიშობს, რომ თურქეთი, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ევროპის მშპ-ს მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს, მეტისმეტად ღარიბია და, შესაბამისად, ევროკავშირს სარგებელს ვერ მოუტანს. პირიქით, თურქეთი ბრიუსელის ბიუჯეტიდან მუდმივად მილიარდობით ევროს გამოთხოვით იქნება დაკავებული. ვინც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნამყოფია და იქაურობის ჩამორჩენილობა უნახავს, სკეპტიკოსების ეს არგუმენტი დამაჯერებლად მოეჩვენება.

ამასთან, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება საბოლოოდ მოუღებს ბოლოს ევროფედერაციის შექმნის იმედებს. თურქეთი განსხვავებული პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანაა. თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ანკარას გაუჭირდება ბევრი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქციის რომელიმე ზესახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის გადაცემა.

ტრადიციულად, თურქეთის წევრობის მიმართ ყველაზე ნეგატიურ პოზიციას საფრანგეთი იკავებს, რომლის აგრო-სამრეწველო სექტორი მთლიანად ბრიუსელის დოტაციებზეა დამოკიდებული. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი სწორედ სამიწათმოქმედო დარგების მხარდასაჭერად იხარჯება. თურქეთი, რომლის მოსახლეობის მესამედი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3-4 პროცენტია) ამ ბიუჯეტის მთავარი მომხმარებელი გახდება. ყოველ შემთხვევაში, თურქეთის ევროკავშირში წევრობით, ეს ბიუჯეტი მის დღევანდელ ფორმას ნამდვილად ვერ შეინარჩუნებს. ეს კი სრულიად მიუღებელია ფრანგი ფერმერებისათვის – და არა მარტო მათთვის.

ყველაფერთან ერთად, თურქეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები – სირიასთან, ერაყთან და ირანთან – პოტენციურად ფეთქებადსაშიშია. ამ ქვეყნებთან მეზობლობა „კულტივირებული“ ევროპის ინტერესებში სულაც არ შედის.

მეორე მხრივ, სწორედ თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობაა მათი მთავარი არგუმენტიც, ვინც ამ ქვეყნის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მომხრეა.

ასეთები კი ბევრია: ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის, და ვაშინგტონთან მჭიდრო კავშირების მქონე ცენტრალური ევროპის და ბალტიის სახელმწიფოები.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, თურქეთი „ნატო“-ს საიმედო წევრია. იგი პროდასავლური ტიპის სეკულარულ დემოკრატიას წარმო-

ბევრი ევროპელისთვის, განსაკუთრებით, რელიგიური კონსერვატორებისთვის, ქრისტიანობა გარკვეულწილად ევროპული იდენტობის განმსაზღვრელია. ამდენად, მუსლიმური თურქეთი, ვესტერნიზაციისკენ მიმართული რეფორმების მიუხედავად, ევროპის – ქრისტიანული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი ვერ გახდება.

ფოტო: თევი ბარიშვილი

ტურისტთა უწყვეტი ნაკადი აია-სოფიას ტაძარში, 2010

ადგენს. ამასთან, მისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა უზარმაზარია. თურქეთი არის ერთდროულად ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის, ბალკანეთის, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზების ქვეყანა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ათა თურქის მიერ განხორციელებული პროდასავლური რეფორმების შემდეგ, თურქეთი დასავლეთის სამყაროს ერთგვარი ფანჯარაა ისლამურ სამყაროში. ამდენად, ამ ქვეყნის ევროკავშირში შესვლის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები თურქეთის ამ მნიშვნელობასთან შედარებით არაადეკვატურია.

სწორედ თურქეთის გამოცდილებას სწავლობენ ისინი, ვისაც მაროკოდან ინდონეზიამდე გადაჭიმულ ისლამურ სახელმწიფოებში დემოკრატიის აშენება სურს. თუ თურქეთს მნიშვნელოვანი არგუმენტების გარეშე წევრობაზე უარს ეტყვიან, ეს ევროპისადმი, როგორც ექსკლუზიურად ქრისტიანული კლუბისადმი, მისი ორმაგი სტანდარტების გამო მუსლიმთა უნდობლობას გაზრდის.

შესაბამისად, გართულდება ევროპაში იმიგრანტი-მუსლიმების ინტეგრაციის პროცესი. მათი რაოდენობა კი, დღეისათვის 15 მილიონს აჭარბებს. თურქეთის წევრობის მომხრეთა მტკიცებით, თურქეთის დემოგრაფიულ ზრდას და მისი სამუშაო ძალის ევროპაში მიგრაციას მომავალში ევროპული ეკონომიკის გადარჩენა შეუძლია. სპეციალისტები დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ უახლოეს ათ წელიწადში სამუშაო ასაკის მოსახლეობის სიმცირის გამო ევროპა კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. 1960-70-იან წლებში გერმანიის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი სწორედ შრომისმოყვარე თურქმა გასტარბაიტერებმა შეასრულეს.

ევროკავშირის მომხრეები, რომლებიც ფედერაციის იდეას არ იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის წევრები მომავალშიც ძლიერი ერი-სახელმწიფოები უნდა იყვნენ, მიწათმოქმედების სექტორის დოტაციას ეჭვის თვალით უყურებენ. მათი აზრით, ადრე თუ გვიან, ამაზე უარი უნდა ითქვას, რადგან ეს ნიშნავს ისეთი სფეროს შექმნას და შენახვას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის რეალიებს არ პასუხობს. მათ ევროპელი გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე, ამ სექტორის მუდმივად არსებობა დაუშვებელად მიაჩნიათ.

რომელი არგუმენტები აღმოჩნდება გადამწყვეტი? თურქეთი კვლავ მოლოდინის რეჟიმშია.

ფოტო: თეგი ბარიგაზვილი

სტამბული – კონტრასტების ქალაქი, 2010

ახალი პრემიერ-მინისტრი

ახალი კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრი აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური ლიდერი ხდება. ის მართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და პოლიტიკური ხელშეუხებლობის მყარი გარანტიები აქვს.

ირაკლი კობახიძე, სამართლის დოქტორი

საკონსტიტუციო ცვლილებები ამკვიდრებს მმართველობის ახალ მოდელს, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერად პრემიერ-მინისტრს აქცევს.

კონსტიტუციური კანონის პროექტზე მსჯელობისას, ექსპერტები და პოლიტიკოსები ხშირად გამოთქვამენ შიშს, რომ მომავალი პრემიერ-მინისტრის ხელში შესაძლოა, მეტისმეტად ფართო ძალაუფლების კონცენტრაცია მოხვდეს.

პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილებების შედარებითი გაანალიზების საფუძველზე განვსაზღვროთ, მართლაც შეიცავს თუ არა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი პოლიტიკური ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაციის რეალურ რისკს.

პრეზიდენტი VS პრემიერ-მინისტრი

პრეზიდენტი აღარ იქნება აღჭურვილი საერთო აღმასრულებელი კომპეტენციებით. შესაბამისად, არსებითად იზღუდება იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალი, რომელზეც პრეზიდენტს დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ახალი პრეზიდენტის დამოუკიდებელ კომპეტენციებად განისაზღვრება – სახელმწიფო ჯილდოებისა და სპეციალური წოდებების მინიჭება; მოქალაქეობის მინიჭება და შეწყვეტა; მსჯავრდადებულთა შეწყალება; პარლამენტის რიგგარეშე სესიის ან სხდომის მოწვევა; პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის არგამოცხადების საფუძველზე, პარლამენტის დათხოვნა; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნა; პარლამენტისთვის ცესკოს წევრების კანდიდატურების წარდგენა; საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრის დანიშვნა; პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურების წარდგენა; პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა; საომარი მდგომარეობის გამოცხადება და გაუქმება, აგრეთვე, საომარი მდგომარეობის დროს დეკრეტების, ბრძანებებისა და სხვა შესაბამისი აქტების გამოცემა; კანონპროექტის მიმართ ვეტოს უფლების გამოყენება.

თუ ამ ჩამონათვალს ყურადღებით გადავხედავთ, დავადგენთ, რომ მომავალ პრეზიდენტს მინიჭებული არ აქვს იმგვარი დამოუკიდებელი უფლებამოსილებები, რომლებიც მას პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების ეფექტური დაბალანსების შესაძლებლობას მისცემდა.

შეგვიძლია, გამოვყოთ პრეზიდენტის ორი კომპეტენცია, რომელთა არქონა პრემიერ-მინისტრის პოზიციებს, მოქმედი პრეზიდენტის პოზიციებთან შედარებით, გარკვეულწილად ასუსტებს. ესენია – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურების პარლამენტისთვის წარდგენა და კანონ-პროექტებზე ვეტოს დადება. თუმცა, გადამწყვეტ როლს პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების დაბალანსების თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ვერც ეს ორი უფლებამოსილება შეასრულებს.

პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას (ანუ, მის პრინციპულ თანხმობასაც) საჭიროებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება – საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას და გაუქმებას, აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის დროს შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემას; ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერებას ან მათ დათხოვნას; თავშესაფრის მიცემას; უმაღლესი სამხედრო წოდებების, საპატიო წოდებებისა და უმაღლესი დიპლომატიური რანგების მინიჭებას; პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის ვერგამოცხადების საფუძველზე, პარლამენტის დათხოვნას.

კანონპროექტის თანახმად, კონტრასიგნაციის შემთხვევაში, შესაბამის აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა პრეზიდენტს, არამედ მთავრობას, რაც, იურიდიული თვალსაზრისით, საკმაოდ უცნაურია. ასეთ დებულებებს კონსტიტუციები, როგორც წესი, იმ შემთხვევაში შეიცავს, თუ სახელმწიფოს მეთაურს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მხოლოდ ნომინალური კომპეტენცია აქვს მინიჭებული. ამგვარი განმარტების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებები პრემიერ-მინისტრის ერთგვარ ექსკლუზიურ კომპეტენციებად გარდაიქმნება, რაც დამატებით გააძლიერებს მის პოლიტიკურ პოზიციებს.

პრემიერ-მინისტრი VS პარლამენტი

ნებისმიერი საკანონმდებლო ორგანო აღჭურვილია ორი ძირითადი უფლებამოსილებით – შეიმუშავებს კანონმდებლობას და აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას. სწორედ ეს ორი უფლებამოსილება ანიჭებს პარლამენტს შესაძლებლობას, ეფექტიანად დააბალანსოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის პოლიტიკური ძალაუფლება.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო ცვლილებები პრემიერ-მინისტრს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში უხეში ჩარევის შესაძლებლობას აძლევს. კერძოდ, იგი უფლებამოსილია, მთავრობის მიერ ინიცირებულ ნებისმიერ კანონპროექტს დაუკავშიროს მთავრობის მიმართ პარლამენტის ნდობის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტი ვალდებულია, დაჩქარებული წესით (14 დღეში) მიიღოს ნებისმიერი კანონპროექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დგება პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნის, ხოლო პარლამენტი – დათხოვნის სერიოზული რისკის წინაშე.

ძალზე შეზღუდულია პარლამენტის უფლებამოსილებები პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის სფეროშიც. კერძოდ, თავისი სირთულით, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების წესი არაფრით ჩამოუვარდება მოქმედი პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების პროცედურას, რაც პრემიერ-მინისტრს ხელშეუხებლობის ძალზე მყარ გარანტიას ანიჭებს.

პრემიერ-მინისტრი VS მთავრობა

აღსანიშნავია, რომ მთავრობა, როგორც კოლეგიური ორგანო, აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მოწესრიგების სფეროში, რაც, ერთი შეხედვით, გარკვეულწილად აბალანსებს პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნულ ძალაუფლებას. თუმცა, საკონსტიტუციო ცვლილებები პრემიერ-მინისტრს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფოს მთავრობის წევრები. კერძოდ, იგი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადააყენოს კაბინეტის თუნდაც მთელი შემადგენლობა და დანიშნოს ახალი მინისტრები. ასეთ პირობებში, მთავრობის წევრები, ბუნებრივია, მოკლებული არიან უნარს, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და წარმატებით დააბალანსონ პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული ძალაუფლება.

დაუბალანსებელი პრემიერ-მინისტრი

პრემიერ-მინისტრის სტატუსისა და უფლებამოსილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები განამტკიცებს ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს. ახალი პრემიერ-მინისტრი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური ლიდერი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე.

პრემიერ-მინისტრის სტატუსისა და უფლებამოსილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები განამტკიცებს ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს.

პრემიერ-მინისტრის გაძლიერება, თავისთავად, პრობლემა არ იქნებოდა, პარლამენტს მის მიმართ უნდობლობის გამოცხადება მარტივი პროცედურის საფუძველზე რომ შეეძლოს. პარლამენტის სწორედ ეს უფლებამოსილება აბალანსებს საპარლამენტო თუ შერეულ რესპუბლიკებში ძლიერ პრემიერ-მინისტრს. პოლიტიკური ხელშეუხებლობის ნაკლებად მყარი გარანტიები არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრს საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტისგან განასხვავებს.

იმ პირობებში, როდესაც უკიდურესად გართულებულია პარლამენტის შესაძლებლობა, თანამდებობიდან გადააყენოს მთავრობის მეთაური, საქართველოს კონსტიტუციას, სულ მცირე, უნდა დაემატოს ნორმა, რომლის თანახმადაც ერთი და იმავე პირის მიერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ იქნება შესაძლებელი.

დაჩქარებული რეფორმა

ახალი კონსტიტუცია ვერ პასუხობს საკონსტიტუციო რეფორმის დეკლარირებულ მიზანს და პოლიტიკური კრიზისის რისკებს შეიცავს.

თამარ ხიდაშელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ფოტო: ლევან ნარიულაძე

პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია

დღეს საკონსტიტუციო რეფორმაზე – როგორც უკვე შემდგარ ფაქტზე – შეგვიძლია, ვისაუბროთ. ახალ კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატებების მიღების ფორმალური მხარე პარასკევს, პლენარულ სხდომაზე მესამე კენჭისყრით დასრულდა. ახლა კანონ-პროექტი პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა.

მიუხედავად ვენეციის კომისიის დაჟინებული მოთხოვნისა, „მომავალი და ეფექტური თანამშრომლობის“ მიზნით, პარლამენტი კომისიის საბოლოო დასკვნას არა მხოლოდ დალოდებოდა, არამედ მხედველობაშიც მიეღო, პარლამეტმა ძალიან იჩქარა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი კრძალავს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის დაჩქარებული წესით განხილვასა და მიღებას. ფორმალურად, პარლამენტს რეგლამენტი არ დაურღვევია – დაჩქარებული წესი, ამავე რეგლამენტის თანახმად, ერთი კვირის განმავლობაში პროექტის სამი მოსმენით განხილვასა და მიღებას ნიშნავს. კონსტიტუციის პროექტმა კი სამი მოსმენა სამ კვირაში გაიარა.

თუმცა, ეს ვადები მაინც ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, თუ როდის შედის ახალი კონსტიტუცია ძალაში. დებულებათა უმრავლესობა, რომელიც ყველაზე მეტად გახდა კრიტიკის საგანი, მხოლოდ 2013 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდება.

იურიდიული თვალსაზრისით, კონსტიტუციური რეფორმის წარმატებაწარუმატებლობის ანალიზისას, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს:

1. რამდენად იქნა დაცული „პროცედურა“, რომელსაც რეფორმის პროცესში პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა წარმოადგენდა.

2. რამდენად იქნა მიღწეული რეფორმის დეკლარირებული მიზანი – „სახელისუფლებო განშტოებათა ეფექტიანი, გაწონასწორებული სისტემის შექმნა“;

პოლიტიკური სპექტრის, ასევე სამოქალაქო სექტორის გარკვეულ ნაწილს რეფორმის პროცესში მონაწილეობის საშუალება ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. უმცირესობა წამოაყენებდა განსახილველ საკითხებს, თუმცა გადაწყვეტილებას ყველა თემაზე უმრავლესობა და ყოველთვის საკუთარი შეხედულებების მიხედვით იღებდა. შეუძლებელია, ამას რეალური თანამონაწილეობა ვუწოდოთ.

მიუღწეველი დარჩა რეფორმის მიზანიც. მართალია, შემოთავაზებული ცვლილებები სრულიად ცვლის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას და მის დამოკიდებულებას საკანონმდებლო ორგანოსთან, მაგრამ ძალთა ბალანსის თვალსაზრისით შენარჩუნებულია აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტური მდგომარეობა პარლამენტთან მიმართებაში. განსხვავება ისაა, რომ ახალ რედაქციაში აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი სიმძიმე პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადადის.

მართალია, პროექტი ითვალისწინებს პარლამენტის სრულიად ახლებურ როლს მთავრობის ფორმირებაში, მაგრამ პროექტის სამართლებრივი ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ საკანონმდებლო ორგანოს ახალი უფლებამოსილება სათანადო კონსტიტუციური გარანტიებით არაა გამყარებული.

პარლამენტი გადაწყვეტს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნის საკითხს, უფლებამოსილია, შეარჩიოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა და ნდობა გამოუცხადოს მის მიერ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობას. მაგრამ, ამავე დროს, მინიმუმამდეა დაყვანილი მისი მონაწილეობა

მინისტრთა კაბინეტის შემდგომ ცვლილებებთან, საბიუჯეტო საკითხებთან და ზოგადად, მთავრობის საქმიანობის კონტროლის სფეროში.

ერთი მხრივ, ახალი კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას. იმდენად დიდ მნიშვნელობას, რომ ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია უუნარო პარლამენტი სახლში გაუშვას.

ამ დებულებაში საგანგაშო არაფერია - ქვეყნის სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, კონსტიტუციური ინსტიტუტების ურთიერთნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა. თუმცა, გაუგებარია, რა საჭიროა პარლამენტის მხრიდან მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, თუ პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, პარლამენტთან შეუთანხმებლად გაათავისუფლოს ნდობაგამოცხადებული მთავრობის არა მარტო რომელიმე წევრი, არამედ მთელი კაბინეტი?

აღნიშნული დებულება, სულ მცირე, უკანგადადგმული ნაბიჯია. კონსტიტუციის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ თუ თავდაპირველი შემადგენლობა შეიცვალა ერთი მესამედით (და არანაკლებ 5 წევრით), მთავრობას ხელახლა სჭირდება პარლამენტის ნდობის მიღება.

მთავრობის წევრების დანიშვნა-გათავისუფლების საკითხში პრემიერ-მინისტრის აბსოლუტური ძალაუფლება პოლიტიკური კრიზისის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

წარმოვიდგინოთ, რომ პარლამენტში არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰყავს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად საჭირო უმრავლესობა. რომელი პოლიტიკური ძალა მოისურვებს კოალიციურ მთავრობაში ყოფნას, თუ მუდმივად იარსებებს საფრთხე, რომ პრემიერ-მინისტრი კოალიციურ მთავრობას მალევე აქცევს ერთპარტიულ მთავრობად?

ერთადერთი ბერკეტი, რაც პარლამენტს პრემიერ-მინისტრის თვითნებობის აღსაკვეთად რჩება, უნდობლობის პროცედურაა, რაც, თავის მხრივ, პარლამენტის შესაძლო დათხოვნის საფრთხეს შეიცავს. უნდობლობის პროცედურის უპრეცედენტო სირთულისა და ხანგრძლივობის გამო, პარლამენტის სახლში გაშვების საფრთხე სავსებით რეალურია.

ის, რომ პარლამენტს არავითარი ბერკეტი არ გააჩნია მინისტრთა კაბინეტის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, პროექტის სხვა დებულებითაც დასტურდება. კერძოდ, პროექტის თანახმად, პარლამენტი უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს დებულება უდავოდ პროგრესული იქნებოდა, პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გარჯვას ადეკვატური შედეგი რომ მოჰყვებოდეს. მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, ახალი კონსტიტუცია არ ავალდებულებს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის მოთხოვნის არგაზიარების შემთხვევაში, მოტივირებული გადაწყვეტილებით მაინც ახსნას უარის თქმის მიზეზი.

ზემოთ აღნიშნული დებულებების საერთო ანალიზით ცხადი ხდება, რომ მიუხედავად მთავრობის ფორმირების პროცესში მონაწილეობისა, პარლამენტის როლი მთავრობის თითოეული წევრის დანიშვნისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, უკიდურესად დაკნინებულია, რაც პრემიერ-მინისტრს აძლევს სრულ კარტ-ბლანშს საკადრო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ახალი კონსტიტუცია არც პარლამენტის კანონშემოქმედებით ფუნქციებს აძლიერებს. დღეს მოქმედი დებულება, რომელიც მთავრობას შესაძლებლობას აძლევს, „ვეტო“ დაადოს პარლამენტის მიერ ინიცირებულ ნებისმიერ კანონ-პროექტს, რომელიც სახელმწიფო ხარჯების ზრდას იწვევს – ძალაში რჩება. მასშტაბები რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, იმის გაცნობიერებაც კმარა, რომ კანონ-პროექტთა უმრავლესობა სწორედ ასეთი კატეგორიისაა – თითქმის ყველა მათგანი გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

მთავრობის თანხმობის გარეშე პარლამენტის უუნარობა, კანონად აქციოს მის მიერ ინიცირებული კანონ-პროექტი, ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონცეფციას და პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში უხეში ჩარევაა.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც მთავრობის მხრიდან პარლამენტის საქმიანობაში შეჭრად შეიძლება მივიჩნიოთ, პრემიერ-მინისტრის უფლებაა, ნებისმიერ დროს ნებისმიერ კანონ-პროექტთან დაკავშირებით დასვას მთავრობის ნდობის საკითხი. თუ პარლამენტს არ სურს მთავრობასთან კონფლიქტი, კანონპროექტი ერთი მოსმენით, 14 დღის ვადაში უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტი შეიძლება დადგეს დათხოვნის საფრთხის წინაშე. ეს დებულება პრემიერ-მინისტრს პარლამენტის „დაშანტაჟების“ შესაძლებლობას აძლევს.

კონსტიტუციის წარმოდგენილი რედაქცია ვერ პასუხობს კონსტიტუციური რეფორმის გამოცხადებულ მიზანს და გვთავაზობს მოდელს, რომელშიც ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ამ კონფლიქტების კონსტიტუციურ და პოლიტიკურ კრიზისში გადასვლის მაღალი ალბათობა არსებობს.

მიუხედავად ვენეციის კომისიის დაჟინებული მოთხოვნისა, „მომავალი და ეფექტური თანამშრომლობის“ მიზნით, პარლამენტი კომისიის საბოლოო დასკვნას არა მხოლოდ დალოდებოდა, არამედ მხედველობაშიც მიეღო, პარლამეტმა ძალიან იჩქარა.

ტურიზმი

სვანეთი ბებმა

მთავრობის მრავალმილიონიანი ჩანაფიქრი, მაღალმთიანი თემი მსოფლიო რანგის კურორტად აქციოს, კითხვებს ბადებს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა იმედით ელის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაპირებულ მესტიის ტურისტულ სასწაულს.

მოლი კორსო

2010 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილმა სვანეთის ოთხი სეზონის კურორტად გარდაქმნის გეგმა წარმოადგინა. პროექტი, თავის დროზე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ გეგმას ეყრდნობა, რომლის მიხედვით უშბისა და სხვა თოვლიანი მწვერვალების კალთებზე საბაგირო გზები და სათხილამურო ტრასები უნდა აშენებულიყო.

უკვე აგვისტოში სააკაშვილმა ჯერ თავის შვილთან ერთად შავ ზღვაში იბანავა, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კი ბავშვების ჯგუფთან ერთად თხილამურებით დაეშვა უშბის ფერდობზე სახელდახელოდ გაკეთებულ ტრასაზე. „ათწლეულების მანძილზე, ჩვენ ვარწმუნებდით ევროპელებს, რომ საქართველო შეიძლება კავკასიის შვეიცარია გახდეს“, – განაცხადა მან. „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოში არსად მოიძებნება ადგილი, სადაც შეიძლება ზღვისა და მთის კურორტების ასე შეთავსება. ჰოდა, იმის ნაცვლად რომ ჩვენ გავხდეთ კავკასიის შვეიცარია, დაე, შვეიცარია გახდეს ევროპის საქართველო.“

არსებული გეგმის მიხედვით, უნდა აშენდეს ახალი, 182-კილომეტრიანი საავტომობილო გზა, თანამედროვე აეროპორტი და სათხილამურო ტრასები როგორც მესტიაში, ისე კავკასიონის ფერდობებზე წამოსკუპულ პატარ-პატარა სოფლებში. პარალელურად, მესტიის მორთვა-მოკაზმვა მიმდინარეობს. შენდება ახალი ცენტრალური მოედანი და გამოიცვლება ქვით ნაგები კოშკების სახურავები.

პროექტის ღირებულების დეტალები ბუნდოვანია. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, გეგმის განხორციელება „45 მილიონ ლარზე მეტი“ დაჯდება, ხოლო მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბიუჯეტიდან სვანეთის პროექტისთვის 100 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი. დაფინანსება, ნაწილობრივ, დაიფარება აზიის რეკონსტრუქციის ბანკის კრედიტის ფარგლებში გამოყოფილი პირველი ტრანშიდან, რომელიც 300 მილიონი დოლარია.

პროექტზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დასახელდა. პროექტის დეტალების შესახებ დასმული შეკითხვები სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა.

მშენებლობა კი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმდინარეობს მესტიასა და

ახალი მშენებლობები სვანეთში, 2010

■ პროექტის ღირებულების დეტალები ბუნდოვანია. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, გეგმის განხორციელება „45 მილიონ ლარზე მეტი“ დაჯდება, ხოლო მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბიუჯეტიდან სვანეთის პროექტისთვის 100 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი.

ხაწვალის დასახლებაში. პირველი სათხილამურო ტრასა სწორედ ხაწვალში უნდა გაიხსნას. მთებში ჩაქუჩები ზრიალებენ და ბეტონის ფილები იგება. გზის მშენებლობის ტემპი მეწყერმაც კი ვერ შეანელა.

თუმცა პროგრესს სვანეთში ექსცესებიც მოჰყვა. საკრებულოს წევრის ნელი ნავერიანისა და მისი სამი ნათესავის დაპატიმრებამ ადგილობრივ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. მოსახლეობაში გაჩნდა შიში, რომ სახელმწიფოს მათი საკუთრების წართმევა აქვს განზრახული.

პოლიციამ ცნობილი ოპოზიციონერი ნელი ნავერიანი ხუთდღიანი ოპერაციის შედეგად დააპატიმრა. სამართალდამცავების თქმით, ნავერიანი ცდილობდა, უცხოელი ინვესტორისთვის არარეგისტრირებული მიწა მიეყიდა და ამ გზით ფული გამოეძალა.

ისტორიულად სვანები არ არეგისტრირებენ თავიანთ საკუთრებას. ტრადიციის მიხედვით, რომელმაც თაობათა ცვლას გაუძლო, მიწები არაოფიციალურად აქვთ დანაწილებული სხვადასხვა ოჯახს.

ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას, რომ ნავერიანის დაპატიმრებას პოლიტიკური სარჩული აქვს, მაგრამ მესტიის მოსახლეობაში გაჩნდა შიში, რომ რეგიონის განვითარება მიწების დაკარგვას მოასწავებს, ხოლო ხელისუფლებასთან დაპირისპირებას მკაცრი სასჯელი მოჰყვება, – ამბობს საერთაშორისო გამჭვირვალობის პროექტების ხელმძღვანელი ნინა ხატისკაცი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ნავერიანის საქმე.

განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს მესტიის მთავრობის მოქმედი ხელმძღვანელი შმაგი ნაგანი. მისი თქმით, ნავერიანის დაპატიმრებით გამოწვეული ვნებათაღელვა უკვე ჩაცხრა და ადგილობრივები უკვე იღებენ კომპენსაციებს მიწის სანაცვლოდ, განურჩევლად იმისა, გააჩნიათ მათ საკუთრების დამადასტურებელი საბუთი თუ არა. ნაგანი აცხადებს, რომ ამჟამად 52 ოჯახი თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასა და სახელმწიფო რეესტრის სამსახურთან საკუთრების დაკანონების კუთხით.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთების საგანია ისიც, რომ ხელისუფლება თავის გეგმას ადგილობრივი მოსახლეობის აზრისა და რეგიონის სენსიტიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გაუთვალისწინებლად ახორციელებს.

თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ გეგმა სწორედ ის არის, რაც მათ სჭირდებათ – გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, მეტი ტურისტი.

„ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ. ყველაფერი იცვლება. აღარ არის ყველაფერი დანგრეული და მორყეული, როგორც ადრე იყო. ყველაფერი კეთდება“, – ამბობს ადგილობრივი მცხოვრები ლელა კვიციანი. მისი თქმით, წელს მეტი ტურისტი ჩამოვიდა და იმედოვნებს, რომ გაისად სტუმართა რიცხვი გაიზრდება. „იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ.“

კომპანია „გეოგრაფიკის“ დამაარსებელი გიორგი გოცირიძე ასევე უარყოფს ბრალდებებს, რომ ხდება მგრძნობიარე გარემოსა და უძველესი ადგილობრივი კულტურის უგულებელყოფა. „გეოგრაფიკი“ იმ კომპანიების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მთავრობამ სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებისთვის დაიქირავა.

„ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია ამ პროექტში“, – აცხადებს გოცირიძე. „ჩვენ შევისწავლეთ ზვავის, მეწყერის, ღვარცოფის რისკები, ჩავატარეთ გეოლოგიური კვლევა. ყოველივე ეს გათვალისწინებულია... შეცდომის დაშვება არც ისე იოლია. ჩვენ კონკრეტული იურიდიულად სავალდებულო ეტაპები უნდა გავიაროთ.“

მისი თქმით, განვითარების გეგმა წლის ბოლოს დასრულდება, რის შემდგომაც იგეგმება საჯარო განხილვების გამართვა. თუმცა, მშენებლობა უკვე მიმდინარეობს.

შეჩერებული ინვესტიციები

დაუსრულებელი პროექტები

Kempinsky, Hayatt, Intercontinental, Tbilisi Plaza – სტუმრების მისაღებად მზად 2010 წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო. დღემდე ამ ობიექტების მშენებლობაც არ დაწყებულა.

ნათია ახალაშვილი

ყოფილი სასტუმრო „აჭარის“ შენობაზე აბრა წარწერით Holiday Inn ერთი თვის წინ გამოჩნდა. საბჭოთა პერიოდში თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობა, რომელიც ლამის ქალაქის სიმბოლოდ იქცა, 90-იანი წლებიდან აფხაზეთიდან დევნილთა თავშესაფრად იქცა. 2006 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც 21 სართულიანი შენობა სახელმწიფომ კომპანია Adjara Group-ს კერძო საკუთრებაში გადასცა, რამდენიმე წლით ის დიდ ლურჯ ქსოვილში გაეხვა.

სასტუმრო Holiday Inn ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ეკონომიკური კრიზისის და რუსეთ-საქართველოს ომის გამო შეჩერებული სამუშაოები განაახლა და მშენებლობის დასრულება მოახერხა. ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს პრეზენტაცია გასულ კვირას გაიმართა.

„ომის და კრიზისის შემდეგ საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადი მნიშვნელოვნად შემცირდა და პირველი სფერო, სადაც ეს აისახა, უძრავი ქონების ბაზარი იყო. პროექტის დასრულებას მთლიანობაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია დასჭირდა, რაც ადგილობრივი ბანკის დაფინანსებით და საკუთარი კაპიტალის მობილიზებით მოვახერხეთ“, – ამბობს ივა დავითაია, Adjara Group-ის გენერალური დირექტორი.

2006 წელს, როცა Adjara Group-მა შენობის შესყიდვა გადაწყვიტა, საქართველოს მომავალი სულ სხვანაირი ჩანდა.

„ეს არის საქართველოში ტურიზმის, მშენებლობის, არქიტექტურის სფეროებში, ასევე ქალაქმოწყობის მხრივ ახალი ეპოქის დიდი დასაწყისი. თანამედროვე სასტუმრო ცენტრების თავმოყრის თვალსაზრისით, მოსკოვის გარდა, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, თბილისი ყველაზე დიდი კონცენტრაციის ადგილი ხდება“. ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა სასტუმრო ჰაიატის პროექტის პრეზენტაციაზე გააკეთა. სასტუმრო გერმანული Loyal Capital Group-ის ფილიალს საქართველოში Loyal Estate-ს უნდა აეშენებინა.

2007 წლიდან კი მიწის ნაკვეთი, სადაც Park Hayatt Tbilisi უნდა აშენებულიყო, საგულდაგულოდ არის შემოღობილი. რესტორან „არაგვის“ ყოფილ ტერიტორიაზე საძირკვლისთვის გათხრილი ორი უზარმაზარი ორმო წყლით არის სავსე. ცირკის უკან, ფერდობზე, რომელიც სასტუმროს ტერიტორიაა, კლდის დიდი მასივი ჩამოჭრილია. აქა-იქ ასაწყობი ამწეს ნაწილებია მიწყობილი. Hayatt-ის მშენებელი კომპანია Loyal Estate-ის ინფორმაციით, მილიონობით ლარი მათ მხოლოდ მიწის ამ სამუშაოებზე დახარჯეს. თუმცა, 2008 წლის კრიზისმა მშენებლობა გაურკვეველი ვადით შეაჩერა. მშენებლები ამ ადგილას წელიწადზე მეტია, არ გამოჩენილან. პერსონალმა, რომელიც ტერიტორიას იცავს, მხოლოდ ის იცის, რომ იქ არავინ უნდა შეუშვას. პასუხი კითხვაზე, თუ რამდენ ხანს მოუწევს მიტოვებული მშენებლობის დაცვა, არ აქვს.

ღობეზე ცათამბჯენების, ბაღების, ინტერიერისა და ექსტერიერის ფოტოებია გამოსახული. ასეთი სასტუმრო კომპლექსი და ბიზნეს-ცენტრი ამ ადგილას 2010 წლის ბოლოსთვის უკვე უნდა მდგარიყო.

Hayatt-ის კორპორატიული ურთიერთობების დირექტორი Laurie Cole „ლიბერალთან“ საუბარში აღიარებს, რომ ამ ეტაპზე პროექტი შეფერხებულია „სხვადასხვა მიზეზების გამო“. მშენებლობის გაჩერების მიზეზებზე სასაუბროდ ის ქონების მესაკუთრისკენ მიგვითითებს.

პროექტის ძირითადი დამფინანსებელი Loyal Estate-ის დამფუძნებელი, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი რომან ფიფია უნდა ყოფილიყო. მას სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობაში 150 მილიონი დოლარი უნდა ჩაედო. 2008 წელს კი, როცა სამშენებლო პროცესი შეფერხდა, აღმოჩნდა, რომ Loyal Estate საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარების იმედად ყოფილა.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის – მინდია გადაევის ინფორმაციით, კომპანია დაფინანსებას ჯერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD), შემდეგ კი საერთაშორისო კერძო ინვესტიციების კომპანია OPIC-ისგან ელოდა. ორივე მოლაპარაკება ჩაიშალა.

დღეს ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის, ის ადგილიც, სადაც სასტუმროს საძირკველია გათხრილი, Loyal Estate-ის საკუთრება აღარ არის. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ტერიტორიის დიდი ნაწილის მესაკუთრე 2009 წლის სექტემბერში „თიბისი ბანკი“ გახდა, მალევე კი – ს/ს „უძრავი ქონების მართვის ფონდი“.

აშენდება თუ არა „არაგვის“ ყოფილ ტერიტორიაზე Park Hayatt Tbilisi, ამ ეტაპზე ამ კითხვას ვერავინ პასუხობს. საპრივატიზაციო დოკუმენტაციის გამოთხოვნის საპასუხოდ მიღებულ წერილში ვკითხულობთ, რომ ეს დოკუმენტები ეკონომიკის სამინისტროში „არ მოიპოვება“.

„მე დავესწარი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს Hayatt-ის მშენებლობის დაწყების შესახებ ხელშეკრულების გა-

ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა,
სადაც სასტუმრო **Intercontinental 2010** წლის დასაწყოსისთვის უნდა ამოქმედებულიყო

ფოტო თემურ ბარქალაიას(ლ)

ფორმების ღონისძიებას. საქართველოში შემოსვლა მათ თქვენ დაგასწრეს, თუმცა თქვენ შეგიძლიათ, მათ მშენებლობის დასრულება დაასწროთ“, – ეს განცხადება 2006 წლის ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთი საერთაშორისო სასტუმროს, Inetrcontinental-ის პროექტის პრეზენტაციაზე გააკეთა.

საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა, რომ წინ ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო და ამაში უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებსაც აქტიურად არწმუნებდა. ეკონომიკის მინისტრის მაშინდელი მოადგილე ნათია თურნავა იხსენებს, რომ ახალი პროექტების ბუმი 2005 წლიდან დაიწყო: „იყო ახალი მოლოდინები, აღმავლობის პერიოდი ეკონომიკაში. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი პროექტი უფრო წარმატებული იყო, ზოგი – ნაკლებად. ამიტომაც, ზოგი პროექტი გაგრძელდა, ზოგი კი – ვერა“, – ამბობს ის.

თურნავას განმარტებით, 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა და აგვისტოს ომმა განაპირობა ის, რომ ფინანსები, რაც საქართველოში სასტუმროების მშენებლობის სექტორში შემოდიოდა, ჯერ საერთოდ შეწყდა, შემდეგ კი გაცილებით უფრო ნაკლებ რისკიან სფეროებში გადანაწილდა. რისკების დაანგარიშებისას კი უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისთვის ხუთდღიანი ომი საკმარისი აღმოჩნდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი ფულის უსაფრთხოება საქართველოში დაცული ვერ იქნებოდა.

სასტუმრო Inetrcontinental-იც ამ ტენდენციის მსხვერპლი გახდა. კოსტავას ქუჩაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილ შენობაზე გაკრული ნაჭრის ბანერი, რომელიც ამ ადგილას მაღალი კლასის სასტუმროსა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიზნეს-ცენტრის მშენებლობას გვამცნობს, უკვე გახუნდა. მშენებლობის დასრულებაზე პასუხისმგებელ კომპანიაში Georgian Property აცხადებენ, რომ პროექტი გაჩერებულია. დირექტორის მოადგილე დავით თავართქილაძე ჯერ კიდევ 2009 წელს აცხადებდა, რომ შეფერხება პროექტის გაფართოებით იყო გამოწვეული. თუმცა, ახლა ისიც აღიარებს, რომ მშენებლობის შეჩერება მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და ომს უკავშირდება. ერთადერთი, რაც ამ პროცესის შესახებაა ცნობილი, ის არის, რომ ჩეორგიან Property-ს ახლა ეკონომიკის სამინისტროსთან აქვს მოლაპარაკებები, რომ პროექტის დასრულების ვადა კიდევ გადაწიოს.

Georgian Property-მ კოსტავას 49-ში მდებარე შენობა 6 მილიონ აშშ დოლარად იყიდა. საერთო ჯამში, ეს კომპანია სასტუმრო Inetrcontinental-ის მშენებლობაში 70 მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას გეგმავდა.

„რამდენიმე თვის წინათ, გერმანიაში ყოფნისას, ძალზე ლამაზ სასტუმროში გვედო ბინა და ვფიქრობდით, რომ კარგი იქნებოდა, თუ მსგავსი სასტუმრო საქართველოშიც აშენდებოდა. ეს იყო ოცნება, რომლის განხორციელებასაც ძალზე ცოტა დრო დასჭირდა – გავიდა რამდენიმე კვირა და გადაწყდა, რომ ზუსტად ასეთივე ან უკეთესი სასტუმრო თბილისშიც აშენდებოდა,“ – თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2006 წლის 11 დეკემბერს. ამ დღეს გამოცხადდა, რომ ყოფილი „იმელის“ შენობა გაიყიდა და იქ 2010 წლისთვის სასტუმრო Kempinsky განთავსდებოდა.

„ეს დიდი აღმშენებლობის და დიდი იმედების დასაწყისია“, – ამბობდა მაშინ მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს მთავრობასა და Capital Vostok-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ინვესტორს „იმელის“ ყოფილ შენობაში 15 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. შენობა კომპანიას, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა.

თუმცა, მოლოდინების საპირისპიროდ, Capital Vostok-მა სასტუმროს აშე-

ფინანსები, რაც საქართველოში სასტუმროების მშენებლობის სექტორში შემოდიოდა, ჯერ საერთოდ შეწყდა, შემდეგ კი გაცილებით უფრო ნაკლებ რისკიან სფეროებში გადანაწილდა.

ყოფილი უნივერმაღი „თბილისი“, სადაც მრავალფუნქციური ცენტრი **Tbilisi Plaza** 2010 წელს უნდა გახსნილიყო

მტკვრის მარჯვენა სანაპირო, სადაც **Park Hayatt** თბილისი 2010 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო

ფოტოები: ეთერ ბარიძე/ბლეერი

ნების ნაცვლად, 2008 წლის მარტში შენობა გაყიდა. „იმელი“ ახლა Dhabi Group Vostok-ის საკუთრებაა. ახალ მეპატრონეს სასტუმროს ჩაბარების ვადა 2010-ის ნაცვლად 2012 წლამდე გადაუვადეს. თუმცა, ახალ ინვესტორს საქართველოს მთავრობის მიმართ თავისი პრეტენზიები აქვს – Dhabi Group Vostok-ის ხელმძღვანელობის მტკიცებით, ნაგებობა ავარიულია და სასტუმროსთვის გამოუსადეგარი. მერია კომპანიას შენობის დანგრევის უფლებას არ აძლევს. დავა დღემდე გრძელდება. „იმელის“ შენობა კი ნახევრადჩამონგრეული, უსახურავო და ნაგვით სავსეა.

Dhabi Group Vostok-ის კუთვნილებაა „იმელის“ შენობის მოსაზღვრე ტერიტორიაც, სადაც ცნობილი „თაბუკაშვილის ქუჩის სახლი“ იდგა. მერიის მიერ დანგრეული კორპუსის ნაცვლად აქ ახლა წყლით სავსე უზარმაზარი ორმოა.

ამ ობიექტის საპრივატიზაციო დოკუმენტაციას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ გასცემს. კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას პასუხად ვიღებთ, რომ ამ ობიექტის „ნასყიდობის ხელშეკრულება მკაცრად კონფიდენციალურია“.

„იმელის“ მსგავსად, 2006 წელს, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით გაიცა ლიკანის ყოფილი მე-4 სამმართველოს ტერიტორიაც. ყაზახურმა „ყაზმუნაიგაზ-სერვისმა“ 40 ჰექტარზე გაშლილი სანატორიუმი 10 მილიონ აშშ დოლარად იყიდა.

ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველმა, ანუ ეკონომიკის სააგენტომ, მყიდველს სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი კომპლექსის აღდგენა-რეაბილიტაცია დააკისრა. თუმცა, წინასწარ არ განსაზღვრულა, როდის უნდა დაესრულებინა კომპანიას სანატორიუმის რეაბილიტაცია. ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული არც სანატორიუმის ამოქმედების კონკრეტული ვადა.

შესაბამისად, რადგან ქართულ მხარეს ვადებზე მოდავების საფუძველი არ აქვს, არც ყაზახური კომპანია ჩქარობს. ბორჯომის გამგებლის, არჩილ მიქელაძის თქმით, სამუშაოები ლიკანის კომპლექსის ტერიტორიაზე ჯერაც არ დაწყებულა. სანატორიუმის დახურვის გამო კი ბოლო რამდენიმე წელია, მიმდებარე სახლებშიც კი აღარავინ ჩადის დასასვენებლად.

ეკონომიკის განვითარების ყოფილი მინისტრის ზურაბ პოლოლიკაშვილის თქმით, მთავრობა ყოველთვის ცდილობდა, ინვესტორების მიმართ განსაკუთრებული ლოიალობა გამოეჩინა. ფინანსური კრიზისისა და ომის გამო გართულებულ მდგომარეობაში კი დამოკიდებულება ინვესტორების მიმართ კიდევ უფრო შერბილდა.

„მაქსიმალურად ვცდილობდით, ყველა პირობა შეგვექმნა ინვესტორისთვის, რომ პროექტები გაგრძელებულიყო და წინსვლა ყოფილიყო. ვცდილობდით, მაქსიმალურად მოქნილები ვყოფილიყავით მათთან მოლაპარაკებების დროს. ყველას ჰქონდა სურვილი და ინტერესი, რომ ეს პროექტები დასრულებულიყო. თუმცა, ამ კომპანიების ნაწილს ეს გაუჭირდა“, – ამბობს ყოფილი მინისტრი.

გაუჭირდა კომპანია Willbrook Management International-საც, რომელმაც 2008 წლის გაზაფხულზე უნივერმაღ „თბილისის“ შენობა შეისყიდა და იქ მაღალი კლასის სავაჭრო ცენტრის აშენების პირობა დადო. ხელშეკრულების დეტალები 2009 წელს გადაიხედა და კომპანიამ ახალი ნაგებობის აშენების პირობა ძველის რეკონსტრუქციით შეცვალა. თუმცა, ეს პროცესიც დაკონსერვებულია.

პრეზიდენტის გამოსვლების თემა კარგა ხანია, თბილისში მიმდინარე მშენებლობები აღარ არის. ის, რომ საქართველო ევროპის ტურისტული ცენტრი და საერთაშორისო ბრენდების სამშობლო გახდება, ახლა მხოლოდ ბათუმსა და სვანეთში თუ სჯერათ.

ფოტო: ნანი ტაბიძე/ფოტოლაბორატორია

ყოფილი „იმელის“ შენობა, სადაც 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო **Kempinsky** 2010 წელს უნდა გახსნილიყო

გორის თვითმმართველობა

გაყალბებული წერილის ისტორია

ვისი ინიციატივით მოხდა სტალინის ძეგლის გადატანა?

საბა წიწიკაშვილი, სტუდია „მონიტორი“



2010 წლის 25 ივნისს, ღამის 1-ელ საათზე აზერბაიჯანულმა კომპანია „აკორდმა“ გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟი დაიწყო და სამ საათში დაასრულა. ამის შესახებ, გორელებმა დილის საინფორმაციო გამოშვებებიდან შეიტყვეს.

გორის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზვიად ხმალაძემ მოსახლეობას ტელევიზიით აცნობა, რომ სტალინის ძეგლის ქალაქის ცენტრიდან გადატანის გადაწყვეტილება საკრებულომ 16 ივნისს გამართულ სხდომაზე მიიღო. მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების საფუძველი გორის მოსახლეობის კოლექტიური წერილი გახდა, სადაც 1671 ხელმომწერი ძეგლის აღებას მოითხოვდა.

კოლექტიური წერილი – №21

ძეგლის აღების მოთხოვნის წერილს „კოლ-21“ ნომერი მიენიჭა. აღნიშნული კოლექტიური განცხადების ხელმომწერთაგან 1 100 ადამიანი დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ დევნილია. დევნილი ხელმომწერები, ძირითადად, კარალეთის, ვერხვებისა და ბერბუკის დასახლებაში ცხოვრობენ. დაახლოებით 200 ხელმომწერი გორის რაიონის სოფლებში ცხოვრობს, ისინი, ძირითადად, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები და მათი ოჯახის წევრები არიან, სიაში არიან სკოლის პედაგოგებიც. დანარჩენი 450 ხელმომწერი შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, გამგეობის, საკრებულოს, საბავშვო ბაღების და კულტურის სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლები არიან. რამდენიმე ხელმოწერა მეორდება – მაგალითად ორ-ორჯერ მოუწერიათ ხელი გორის მე-5 საბავშვო ბაღის გამგეს – ქეთევან გელაშვილს და ჩუბინიშვილის სახელობის გორის კულტურის სახლის უფროსს – მამუკა მამუკაშვილს.

დევნილი ზალინა პავლიაშვილი, რომლის გვარ-სახელი ამ წერილში ფიგურირებს, ამბობს, რომ მასთან ხელის მოსაწერად ძეგლის აღებიდან ერთი კვირის შემდეგ მივიდნენ. „მოვიდნენ და მითხრეს, ხელის მოწერაა საჭირო – მოგეწონათ თუ არა ძეგლის გადატანა მუზეუმის ტერიტორიაზეო,“ – იხსენებს პავლიაშვილი. კიდევ ერთი დევნილი ხელმომწერი, მთვარისა ბესტაევა ამბობს, რომ მასთანაც ძეგლის აღებიდან 3-4 დღის შემდეგ მივიდნენ. კარალეთის დევნილთა კომპაქტური ჩასახლების კოტეჯებში გამოკითხულები ერთხმად ადასტურებენ, რომ წერილზე ხელი მათაც ძეგლის აღების შემდეგ მოაწერინეს. „გვკითხეს, თუ მოგეწონათ ძეგლის მუზეუმის ტერიტორიაზე გადატანა, მაშინ ხელი მოგვიწერეთო, რა აზრი ჰქონდა, უარი რომ გვეთქვა?“

ჩვენ სტალინის ძეგლის აღების მომხრეთა კოლექტიური წერილი საკრებულოდან ორჯერ გამოვითხოვეთ – პირველად 2010 წლის 8 ივლისს, მეორედ კი სექტემბრის დასაწყისში. 8 ივლისს მიღებული დოკუმენტი მხოლოდ საკრებულოს კანცელარიის ბეჭდითაა დამოწმებული, ხოლო სექტემბერში გამოგზავნილ წერილის ასლს უკვე საკრებულოს თავმჯდომარის, ზვიად ხმალაძის რეზოლუცია ადევს. გამოდის, რომ რომ სტალინის ძეგლის გადატანის მოთხოვნა ხმალაძემ 2010 წლის 8 ივლისის შემდეგ დაკმაყოფილა, ანუ ძეგლის გადატანიდან (25 ივნისი), სულ მცირე, ორი კვირის შემდეგ.

გორის საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი ეჭვობს, რომ 16 ივნისის სხდომა საერთოდ არც გამართულა და შესაბამისად, საკრებულოს ძეგლის აღების გადაწყვეტილება ამ დღეს არ

ფოტო გაროლა ქორიანიძისა

მიუღია. დეპუტატები თემურ აფხაზაშვილი, კახა ქარელი და კახა ერგემლიძე ამბობენ, რომ 16 ივნისს მთელი დღე საკრებულოს შენობაში იმყოფებოდნენ და სხდომის ჩატარების შესახებ არაფერი სმენიათ.

განკარგულება – „ქალაქ გორში სტალინის გამზირზე №1 შენობა-ნაგებობაზე განთავსებული ქანდაკების (ი.ბ. სტალინის) გადაადგილების შესახებ“ 16 ივნისითაა დათარიღებული. ბუნებრივია, განკარგულების გამოცემისას, გორის საკრებულოს იმ დროისთვის მოქმედი „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მიხედვით უნდა ემოქმედა. თუმცა, რატომღაც საკრებულომ 2010 წლის 16 ივნისს, მოახერხა და აღნიშნული საკითხის გადაჭრისას 2010 წლის 28 ივლისს, ანუ თვენახევრის შემდეგ დამტკიცებული რეგლამენტით იხელმძღვანელა.

ახალი რეგლამენტის მიხედვით, საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლება აქვს:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს.

ბ) საკრებულოს წევრს.

გ) ამომრჩეველთა საერთო რაოდე-

ნობის 1%-ს პეტიციის წესით (მხოლოდ ნორმატიულ აქტზე).

სტალინის ძეგლის გადატანის მსურველთა 1671 ხელმოწერა სწორედ პეტიციის წესით შევიდა საკრებულოში. თუმცა, გორის თვითმმართველობის ორგანომ ამ რეგლამენტის წესებიც დაარღვია. რეგლამენტის მიხედვით, თუ საკითხი პეტიციის წესით შევა, საკრებულოს მისი დამტკიცებისას „დადგენილების“ მიღება ევალება და არა „განკარგულების“. დადგენილების მიღების შემთხვევაში, ეს ნორმატიული აქტი იუსტიციის საბჭოს ნორმატიული აქტების რეესტრში ფიქსირდება. „განკარგულებას“ კი ასეთი ფორმალობები არ სჭირდება. სწორედ ამიტომაც, საკრებულომ იოლ ფორმას მიმართა და გადაწყვეტილებას განკარგულების სახე მისცა.

ფოტო: ბარნაბა ქორბაგიანის

გორში, სტალინის ძეგლის მაგივრად, ომში დაღუპული მეომრების მემორიალს დადგამენ, 2010

წერილი ოფიციალური ნომრით „კოლ-21“ საკრებულოში 2010 წლის 21 მაისს შევიდა. თუმცა, ეს არ იყო სტალინის ძეგლის გადატანის მომხრეთა განცხადება. ამ ნომრით 21 მაისს საკრებულომ ის კოლექტიური წერილი მონიშნა, რომელშიც დავით აღმაშენებლის გამზირზე №19-25 სახლების მობინადრეები სანიაღვრე არხის მოწესრიგებას ითხოვდნენ.

საკრებულოს წევრთა ნაწილი ეჭვობს, რომ პეტიცია სტალინის ძეგლის აღების მოთხოვნით მისი დემონტაჟის, ანუ 25 ივნისის შემდეგ დაიწერა. ახალ წერილს სარეგისტრაციო ნომრად აღმაშენებლის გამზირის მცხოვრებთა განცხადების სარეგისტრაციო ნომერი თარიღის გასაყალბებლად „მიანიჭეს“.

კოლექტიური წერილი „კოლ-365“

1671 მოქალაქის ხელმოწერილი კოლექტიური წერილის ასლი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაშიც შევიდა. ეს წერილიც 2010 წლის 21 მაისითაა დათარიღებული. სარეგისტრაციო ნომრად მას აქ – „კოლ-365“ მიენიჭა (გამგეობის აპარატი სხვა ნუმერაციით მუშაობს).

იმის გარკვევა, თუ როდის შევიდა ეს წერილი გორის მუნიციპალიტეტში, შეუძლებელი აღმოჩნდა. სარეგისტრაციო ჟურნალი სადაც შესული წერილები თანმიმდევრობით თარიღდება, გორის მუნიციპალიტეტში არ არსებობს. „სარეგისტრაციო ჟურნალში მხოლოდ წერილები (და არა – კოლექტიური განცხადებები) შეგვაქვს. კოლექტიური განცხადება წერილი არ არის. ეს არის – განცხადება. როდესაც მოგაქვთ წერილი და აწერია „განცხადება“, ჩვენ მას მხოლოდ საკონტროლო ბარათზე ვაფიქსირებთ და ჟურნალში არ შეგვაქვს“, – გვითხრეს კანცელარიის თანამშრომლებმა.

არც საკონტროლო ბარათების თანმიმდევრობაა დაცული, ასე რომ, გორის გამგეობაში ძველი თარიღით წერილის „შეპარება“ არც ერთი თანამშრომლისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

პეტიციის ხელოვნური ინიცირება, ძველი თარიღით შედგენილი წერილი, ხელმოწერების პოსტ-ფაქტუმ შეგროვება და საკრებულოს სხდომა, რომლის ჩატარების შესახებ მისმა წევრებმაც კი არ იცოდნენ, აჩენს ეჭვს, რომ სტალინის ძეგლის გადატანის გადაწყვეტილება მთავრობამ ერთპიროვნულად მიიღო და აღასრულა კიდეც. ფორმალური პროცედურები კი საქმეს მოგვიანებით „დააწიეს“.

საკონტროლო ბარათზე, სადაც გამგეობაში „კოლ-365“ წერილის შესვლის ფაქტია დაფიქსირებული, 2010 წლის 7 ივლისს მინაწერია გაკეთებული – „უკვე შესრულებულია“.

წერილი დაფინანსებულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, „ფონდ – ღია საზოგადოება საქართველოსა“ და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.

ახალგაზრდობის პოლიტიკა

ძველი ახალი სამინისტრო

სამი თვის წინ შექმნილი ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს სავიზიტო ბარათად „პატრიოტთა ბანაკები“ რჩება. ახალგაზრდობაზე „ზრუნვა“ ისევ მხოლოდ პოპულისტური, ერთჯერადი პროექტებით გაგრძელდება.

მაია წიკლაური

ფოტო: ირაკლი გელენიძე

მიხეილ სააკაშვილი და ლადო ვარძელაშვილი ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის გახსნაზე, 27 მაისი 2010

სამი თვის წინ შექმნილი ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს სავიზიტო ბარათად „პატრიოტთა ბანაკები“ რჩება. ახალგაზრდობაზე „ზრუნვა“ ისევ მხოლოდ პოპულისტური ერთჯერადი პროექტებით გაგრძელდება.

30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე 7 სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ათასზე მეტი საჯარო მოხელე შვებულებაში გავიდა. ვიდრე ისვენებდნენ, ისინი ღიად და კანონის დაურღვევლად ჩაერთვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიაში. შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა გეზი შავი ზღვისკენ აიღო. მან პირადად ჩაიბარა ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის გახსნის მეთვალყურეობა.

27 მაისს, ანაკლიაში პრეზიდენტის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე, მუშებმა ბანაკის ეზოდან სამშენებლო ნაგავი გაიტანეს, 300-მდე „პატრიოტმა“ გაწმინდა ახლად შეღებილი შენობის ფანჯრები და დაალაგა ოთახები, მომზადდა ფრენბურთის მოედანი, რომელზეც მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილმა ითამაშა და – კერძებიც, რომლებიც „პატრიოტებმა“, სტუმრებმა და ბანაკის ხელმძღვანელებმა ერთად დააგემოვნეს. ეს ყველაფერი ლადო ვარძელაშვილის მეთვალყურეობისა და უშუალო ხელმძღვანელობის წყალობით მოხდა.

შიდა ქართლის გუბერნატორმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიაში ბანაკის გახსნის საქმეს თავი წარმატებით გაართვა. ის საკუთარი სამხარეო ადმინისტრაციიდან იმიტომაც გამოიხმეს, რომ პარტიისთვის იმედი არასდროს გაუცრუებია. ახალგაზრდული საქმეები

კი, რომლის საყრდენი პროექტიც ხელისუფლებისთვის მუდამ „პატრიოტთა ბანაკები“ იყო, თავიდანვე ლადო ვარძელაშვილის ნიშად იქცა. შიდა ქართლში ორწლიანი მუშაობის დროს 31 წლის გუბერნატორზე ხშირად ამბობდნენ, რომ ის პარტიის პოლიტიკურ პროექტებში უფრო აქტიური იყო, ვიდრე საკუთარი გუბერნიის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისას.

გუბერნატორობის რანგში ლადო ვარძელაშვილის ბოლო მისია გორის მთავარი მოედნიდან სტალინის ძეგლის კონსპირაციული აღება იყო. სამი დღის შემდეგ ის ახლად შექმნილი სამთავრობო უწყების ხელმძღვანელი გახდა.

შექმნიდან სამი თვის თავზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო ჯგუფის ასაკობრივ კატეგორიასაც ვერ საზღვრავს. პასუხი კითხვაზე – რომელ წლამდე უნდა ჩაითვალოს ადამიანი ახალგაზრდად, რომლის პრობლემების მოგვარებასაც ახლად შექმნილი უწყება საკუთარ თავზე იღებს – სამინისტროს არცერთ ხელმძღვანელს არ აქვს.

მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი ავალიანი ემპირიულ დაკვირვებაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ ახალგაზრდობის მთავარი პრობლემები დღეს განათლების ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის დაზღვევა, დასაქმება და დაოჯახებაა. თუმცა, სამინისტროს მიერ ოფიციალურად დეკლარირებული გეგმები კვლევის გარეშე გამოაშკარავებული ამ პრობლემების გადაჭრის გზებს

ზრდული დეპარტამენტის ინიციატივები ასე ხასიათდება: თანხები მხოლოდ ერთი მიმართულებით იხარჯებოდა. ამ ერთჯერად პროექტებში არ ხდებოდა „ახალგაზრდების პოტენციალის ბოლომდე გამოყენება“, მათ ხშირად გასდევდა პატრიოტიზმის პათოსი და ნაციონალიზმის გაღვივების მცდელობა“.

„თუ სახელმწიფო ახალგაზრდებზე მხოლოდ ერთჯერადი პროექტებით ზრუნავს, ეს მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც მიგვანიშნებს, რომ სახელმწიფოს გრძელვადიანი და გააზრებული პოლიტიკა ახალგაზრდული საქმეების სამართავად არ აქვს. მთავარია, ახალგაზრდობა აღიქვა არა პრობლემად, არამედ საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო რესურსად“, –

„ახალგაზრდობაზე“ უკვე წლებია, მილიონები იხარჯება, თუმცა, ფაქტობრივად ერთადერთი მიზნით – ახალი თაობა ჩვენთან, პირველ რიგში, აღიქმება ძალად, რომლის სიმპათიისა და ერთგულების მოპოვებაც პოლიტიკური წარმატების მისაღწევადაა საჭირო.

მინისტროს შენობაში „კოსმეტიკური“ რემონტის შემდეგ დარჩენილი საღებავის სუნი ჯერაც არ გასულა. თანამშრომლები ოთახებში ავეჯს ანაწილებენ. დიდი ბანერი, რომელზეც ბავშვების ჭიდაობის კადრია გამოსახული, ჯერ ისევ დერეფანში, „პატრიოტების“ ფოტოზეა აყუდებული. კიდევ ერთი ნიშანი, რაც უწყების ახალ სტატუსზე მიუთითებს, შენობაზე შეცვლილი აბრა და თანამშრომელთა გაზრდილი რაოდენობაა.

უწყების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ დიდ ცვლილებებს გეგმავენ. ისინი საკუთარ პლუსად მიიჩნევენ იმასაც, რომ სამინისტროში თანამშრომელთა საშუალო ასაკი 23-დან 28 წლამდეა, მთლიანად ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გუნდს კი უკეთ შეუძლია, განსაზღვროს დღევანდელი ახალგაზრდობის წინაშე მდგარი პრობლემები. თუმცა, ამ გუნდმა ჯერ კიდევ ვერ შექმნა დაპირებული კანონი ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს საყრდენ დოკუმენტად უნდა იქცეს. კანონის გარეშე კი გამოდის, რომ სამინისტრო საკუთარი

არ შეიცავს. ალტერნატიული განათლების ხელშეწყობა კი ავალიანს ისევ მარტივად – „პატრიოტთა“ განახლებული პროგრამითა და რამდენიმე სხვა ახალი პროექტით წარმოუდგენია.

ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა ექვსი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 35 მილიონი ლარი მიიღო და აქედან 30 მილიონი სწორედ პროგრამა „პატრიოტის“ დასაფინანსებლად გამოიყენა. ამ პერიოდში დეპარტამენტს დღევანდელი მინისტრი ვარძელაშვილი ხელმძღვანელობდა. მისი უშუალო თანაავტორობით დაიგეგმა „პატრიოტების“ ფართოდ რეკლამირებული პროექტიც და ის პირადად ვარძელაშვილისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სავიზიტო ბარათად იქცა. დღემდე მმართველი პარტია „პატრიოტებს“ საკუთარ წარმატებად და მიღწევად მიიჩნევს.

თუმცა, 2009 წელს ჩატარებულ „ახალგაზრდობის ეროვნულ კვლევაში“ იგივე პროექტი შეფასებულია, როგორც „ზედაპირული, არაეფექტური და ერთჯერადი“. კვლევაში ახალგა-

ნათქვამია ევროსაბჭოს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის რეკომენდაციაში. საქართველოში „ახალგაზრდობაზე“ უკვე წლებია, მილიონები იხარჯება, თუმცა, ფაქტობრივად ერთადერთი მიზნით – ახალი თაობა, ჩვენთან პირველ რიგში აღიქმება ძალად, რომლის სიმპათიისა და ერთგულების მოპოვებაც პოლიტიკური წარმატების მისაღწევადაა საჭირო.

გამოდის, რომ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში განხორციელებული ძვირადღირებული პროექტების მიზანიც სინამდვილეში ახალგაზრდების განვითარება კი არა, მათი პოლიტიკური ლოიალობის მოპოვება იყო. ამიტომ ზღვარი „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ახალგაზრდული საქმეების მთავარ უწყებას შორის ყოველთვის ძალიან მყიფე იყო.

„სპორტული შეჯიბრია, თუ სხვა ღონისძიება, ამ უწყებას ზოგჯერ „ნაციონალური მოძრაობა„ ეხმარება ან ადამიანური რესურსით, ანდა – ინვენტარით. ხდება პირიქითაც – დეპარტამენტი ეხმარება პარტიას. ცუდს ხომ არაფერს

აკეთებენ?! ახალგაზრდებს ეხმარებიან. ჩვენ გვჭირდება ერთგული ადამიანები და მადლობა ღმერთს, გვყავს ასეთები„, – ამბობს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ასანიძე.

როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდებოდა, დეპარტამენტის თანამშრომლები პარტიული აგიტატორების როლს ითავსებდნენ და საარჩევნო კომისიებშიც „ნაციონალებს“ წარმოადგენდნენ. რუსთავში კი, ახალგაზრდული დეპარტამენტისა და „ნაციონალური მოძრაობის„ ადგილობრივი ოფისები დღემდე იყოფენ შენობასაც და თანამშრომლებსაც.

კავშირი პარტიასა და დეპარტამენტს შორის ყოველთვის იმდენად პირდაპირი იყო, რომ ახალგაზრდული დეპარტამენტის მიერ მოწყობილ კონცერტებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე მისულ მაყურებელს ეჭვი არ ეპარებოდა, ღონისძიება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად იმართებოდა.

„ქუთაისში რომ წინასაარჩევნოდ ჩატარდა კონცერტები, ისინიც ჩვენი ახალგაზრდული დეპარტამენტის ორგანიზებული იყო. გასართობად მისული ქუთაისელები ამბობდნენ: ნეტა, ყოველ თვეს იყოს არჩევნები, როგორც იქნა, ხალხი ქუჩაში გამოვიდაო!“ – ამბობს 16 წლის გიორგი ქუთაისიდან.

სამინისტროდ გარდაქმნის შემდეგ ახალგაზრდული უწყების მიზანი, სავარაუდოდ, არ შეიცვლება. მეტიც, ამ ორგანოს სტატუსის ამაღლება და წამყვან პოსტზე ლადო ვარძელაშვილის დანიშნვა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოსთვის ახალგაზრდული ძალის მობილიზება ამ ეტაპზე კიდევ უფრო პრიორიტეტული ხდება. ამ მიზნის განხორციელებასა და სხვა სამომავლო პროექტებზე სამინისტრო რამდენიმე დაახლოებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მუშაობს. გიორგი ავალიანი მათ არ ასახელებს და ამბობს: „არ გვინდა, ბევრი დავპატიჟოთ. შემდეგ ყველას აზრი რომ ვერ გავითვალისწინოთ, ამბავი ატყდება, რატომ გაიზიარეთ მათი იდეები და არა ჩვენიო“.

„ქუთაისის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა სახლი“ ერთ-ერთია სამინისტროსთან დაახლოებულ ორგანიზაციათა ვიწრო წრეში. „სახელი გამკაცრდა და გამკაცრდება შეხედულებაც. მაგალითად, ტარდება რამე ტრენინგი და ძნელია ახალგაზრდობის მიყვანა. ადამიანს რომ ეტყვი, რომ მე ახალგაზრდული დეპარტამენტიდან ვარ, გარკვეულ ყურადღებას მოგაქცევს, მაგრამ არ დააინტერესებს. თუ აუხსნი, რომ სამინისტროდან ხარ – ეს უკვე სხვაგვარად ჟღერს. სამინისტროს გავლენა უფრო დიდია“, – ამბობს ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ზაალ კუხიანიძე და მისი ხედვა ერთი ერთზე ემთხვევა სამინისტროს პოლიტიკას. „ახლა უფრო ადვილად დასამორჩილებელი იქნება ახალგაზრდობა. გატარებული ღონისძიებები უფრო მკვეთრად აღიბეჭდება მის აზროვნებაში, თუ ვეტყვით, რომ ამ ღონისძიებების ინიციატორი სამინისტროა და არა დეპარტამენტი“, – დასძენს კუხიანიძე.

გამოდის, რომ სამინისტროდ „დაწინაურებული“ ახალგაზრდული დეპარტამენტი უცვლელი გუნდითა და ხელმძღვანელით, უცვლელი ბიუჯეტითა და კონცეფციით იწყებს ახალ საქმეს. ახალგაზრდული საქმეების მართვაში მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, მათთვის დღემდე ბუნდოვანი რჩება, რა უნდა ჩაიწეროს კანონში ახალგაზრდობის შესახებ. არადა, სწორედ კანონმა უნდა უზრუნველყოს, რომ უწყებას, რომელსაც მათი განვითარების გზების დასახვა ევალება, გაცილებით მეტი მოეთხოვოს, ვიდრე მოდერნიზებული „პატრიოტული ბანაკებია“.

ევროპის ახალგაზრდული ფორუმის 11 ინდიკატორი, რითაც სახელმწიფოების ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურობა იზომება:

1. **არაფორმალური განათლება – მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს არაფორმალური განათლების დანერგვას და ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.**
2. **ტრენინგები ახალგაზრდებისთვის – მთავრობამ ახალგაზრდულ სექტორში სხვადასხვა სფეროს ტრენერების მომზადებას უნდა შეუწყოს ხელი.**
3. **ახალგაზრდული კანონმდებლობა – კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტები და უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.**
4. **ახალგაზრდული ბიუჯეტი – მთავრობამ უნდა გამოყოს სპეციალური ბიუჯეტი ახალგაზრდული ინიციატივებისა და ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობად.**
5. **ახალგაზრდული საინფორმაციო პოლიტიკა – მთავრობის ქმედებები უნდა იყოს გამჭვირვალე და ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რას სთავაზობს სახელმწიფო მათ.**
6. **მრავალდონიანი პოლიტიკა – ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკა ვერ განხორციელდება, თუ ის ფოკუსირებული არ იქნება ქვეყნის ყველა რეგიონზე.**
7. **კვლევა – ახალგაზრდული პოლიტიკა არ უნდა ეყრდნობოდეს ვარაუდებსა და თეორიებს, არამედ - ფაქტებს და ახალგაზრდული საკითხების კვლევას.**
8. **მონაწილეობა – მთავრობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სახელმწიფოს ყველა დონეზე, აქტიურად უნდა ჩართოს ახალგაზრდობა.**
9. **სამთავრობო თანამშრომლობა – ახალგაზრდულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა რამდენიმე სამინისტრომ (ახალგაზრდობის, სპორტის, ჯანდაცვის, კულტურის და სხვა) უნდა აიღოს.**
10. **ინოვაცია – ახალგაზრდული პოლიტიკა სიახლეებზე და ახალგაზრდულ ინიციატივებზე უნდა იყოს ორიენტირებული.**
11. **მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭო – ასეთმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ახალგაზრდული პოლიტიკის დასაგეგმავად. მის შემადგენლობაში უნდა იყვნენ, როგორც ახალგაზრდები, ასევე – სამთავრობო პირები.**

კითხვები განათლების სამინისტროს

როგორ შევაფასოთ განათლების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები?

სიკო ჯანაშია

განათლების სფეროში მუდმივად სიახლეებია. ხანდახან თვეში რამდენჯერმეც კი, ახალი ინიციატივა ცხადდება. სამწუხაროდ, ეს სიახლეები ხშირად ისე მტკიცდება, რომ ალტერნატიული გზების შესახებ საჯარო დისკუსია მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ იწყება. ამ ვითარებაში, საზოგადოებისთვის რთულია ცვლილებების არსის გაგება. არადა, განათლების სისტემის გაჯანსაღებისთვისაა მნიშვნელოვანი ის, რომ თითოეული გადაწყვეტილების შეფასება საზოგადოების ფართო სპექტრმა რაციონალურად და კომპლექსურად შეძლოს.

შევეცდები, ჩამოვაყალიბო ის მიდგომები, რომლებიც შესაძლოა, დაეხმაროს არასპეციალისტებს განათლების პოლიტიკაში შემოთავაზებული ცვლილებების შესაფასებლად.

როდესაც ახალი ინიციატივის მიზანს ვაფასებთ, სასურველია, ვიკითხოთ, როგორ უკავშირდება ამ ცვლილების მიზნები განათლების სფეროსა და ზოგადად საზოგადოების მიზნებს? მაგალითად: როგორ უკავშირდება პირველკლასელებში კომპიუტერის დარიგების მიზნები საგანმანათლებლო, საზოგადოების განვითარების, ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის განვითარების მიზნებს?

კითხვები, რომლებიც ცვლილების საჭიროების შესწავლისას უნდა დავსვათ, ასეთია: რამდენად გვაქვს ინფორმაცია იმ პრობლემის მნიშვნელობის შესახებ, რომლის გადაჭრასაც სახელმწიფო გვთავაზობს. მაგალითად: სკოლის მანდატურების პროგრამა. გვაქვს თუ არა ინფორმაცია, რომ სკოლებში ძალადობის სერიოზული პრობლემაა? ვიცით თუ არა, რა გამოვლინება აქვს ამ ძალადობას? არის თუ არა მანდატურების არარსებობა პრობლემის სათავე? ჩვენი ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ მხოლოდ ჩვენს პირად გამოცდილებას ეყრდნობა, თუ ობიექტური და მიუკერძოებელი კვლევის შედეგებს?

ასევე, უნდა ვიკითხოთ – რა ალტერნატიული გზები განიხილება კონკრეტული არჩევნის გაკეთებამდე? რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს კონკრეტული ალტერნატივა და რით სჯობს სხვებს? რამდენად არსებობს მსგავსი გზით მსგავსი პრობლემის ეფექტურად მოგვარების პრეცედენტი? მაგალითად: სახელმწიფომ დაისახა მიზნად, რომ მასწავლებლების კომპეტენციები გააუმჯობესოს და თუ მასწავლებელი დაადასტურებს, რომ კომპიუტერის გამოყენება შეუძლია და ინგლისურიც იცის, ის სახელფასო დანამატით დაჯილდოვდება. უნდა დავსვათ კითხვა, რამდენად არსებობს იმის მაგალითი, რომ კომპეტენციების გაუმჯობესება ფინანსური მოტივაციის შედეგად ხდება?

აუცილებელია, ისიც ვიცოდეთ, რამდენად გაზომვადია კონკრეტული ინიციატივის შედეგი. მაგალითად: სახელმწიფოს წარმომადგენლების თქმით, სკოლებში გამოსაშვები გამოცდების დაწესების შედეგად მოსწავლეების დასწრება სკოლებში გაიზრდება, ხოლო რეპეტიტორების სერვისით მოსარგებლეთა რიცხვი შემცირდება. ამ შედეგის შეფასებისას სასურველია, გვქონდეს პასუხი კითხვებზე – მაინც რამდენად გაიზრდება სკოლაში მოსწავლეების დასწრება და რამდენად შემცირდება რეპეტიტორობის პრაქტიკა? ანდა: გამოსაშვები გამოცდები რა არაპირდაპირ შედეგებს მოიტანს? როგორ იმოქმედებს ის მასწავლებლების მიერ კონკრეტული საგნის სწავლებაზე, მის მიზნებსა და მიდგომებზე? როგორ იმოქმედებს სახელმძღვანელოების შექმნის, გავრცელების ან შეძენის პრაქტიკაზე?

იმის გასაგებად, თუ რამდენად რეალისტურია ცვლილება, წინაპირობებიც უნდა გამოვიძიოთ. უნდა დავსვათ კითხვა: არსებობს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ შემოთავაზებული ცვლილება განხორციელდეს? მაგალითად, არსებობს საქართველოში საკმარისი ინფრასტრუქტურა, რომ გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები ყველა სკოლაში ცეკვით და სპორტით დაკავდნენ?

უნდა შეფასდეს შესაძლო რისკებიც. რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ ვთქვათ, გამოსაშვები გამოცდების გამო მრავალი მოსწავლე მეთორმეტე კლასამდე მიატოვებს სწავლას?

რეალისტურობა იზომება ადამიანების მოტივაციითაც: აქვთ თუ არა მასწავლებლებს საკმარისი მოტივაცია, რომ წიგნებთან ერთად კომპიუტერებითაც ასწავლონ?

და ის იზომება მოსწავლეების შესაძლებლობებითაც: აქვს თუ არა საქართველოს 2150 სკოლის ყველა მეთორმეტეკლასელს იმის შესაძლებლობა, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად რაიონულ ცენტრში ცხრაჯერ ჩავიდეს, თუ საგამოცდო ცენტრების განაწილება ამ პრინციპით მოხდება?

ეკონომიკური ასპექტების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისთავად არცერთი ქმედება არც ძვირია და არც იაფი. სასურველია, ვიცოდეთ, რა დაჯდებოდა ალტერნატიული გადაწყვეტილება. ანდა შევადაროთ ის სხვა პრიორიტეტების წილს განათლების ბიუჯეტში. მაგალითად: რამდენად მისაღებია, რომ ინგლისურის ენის გაკვეთილებისთვის პედაგოგების უცხოეთიდან ჩამოსაყვანად სახელმწიფო წელიწადში 10 მილიონს ხარჯავს, მაშინ როდესაც საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართულის სასწავლებლად შექმნილი ბილინგვური განათლების პროგრამისთვის მხოლოდ 80 ათასი ლარია გამოყოფილი, ხოლო არაქართულენოვან სკოლებში კვალიფიციური მასწავლებლების მისავლენად – 800 ათასი?

ამ სტატიაში დასმული კითხვები მხოლოდ ნაწილია იმ საკითხების, რაზეც გადაწყვეტილებების მიმღებებს უნდა ეფიქრათ. ვიდრე სახელმწიფოს საჯარო განსჯის სურვილი გაუჩნდება, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა შევძლოთ, გადაწყვეტილებების რაციონალურად, ნაკლებად ემოციურად და კონსტრუქციულად შეფასება.

ტელეტრავმა

ვუძღვნი მათე კირვალიძეს, გიორგი ლაფერაშვილს და ხათუნა ბერძენიშვილს („ქრონიკის“, „კურიერის“ და „მოამბის“ მთავარ პროდიუსერებს)

ნინია კაკაბაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“, წლების განმავლობაში, სისტემატურად ატარებს სემინარებს, ლექციებს, ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის თემებზე – როგორ ავსახოთ ტელეეკრანზე ომი, ძალადობა ან ტრავმა. როგორ არ უნდა გახდეს ძალადობის ჩვენება ახალი ძალადობის ინსპირატორი, ან ახალი მსხვერპლის მაპროვოცირებელი. როგორ უნდა მოვეპყროთ მსხვერპლს, რომ მათი უფლებები არ შეილახოს. ამ ტრენინგებს, როგორც დობის, კონფლიქტებისა და ტრაგედიის ინფორმირებულ, ინოვაციურ და ეთიკურ გაშუქებას ეძღვნება.

იქნება ეს ქუჩის კრიმინალი, ოჯახური ძალადობა, ბუნებრივი კატასტროფა, ომი თუ ადამიანის უფლებების დარღვევა, ტრავმასთან დაკავშირებული მოვლენების ეფექტური გაშუქება ცოდნას, უნარ-ჩვევებს და მხარდაჭერას მოითხოვს. „დართ ცენტრი“ ჟურნალისტებს ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭირო რესურსებით ამარაგებს და ქმნის გლობალურ,

მას 2005 წელს, ჰიროსიმას 60 წლისთავთან დაკავშირებით BBC-მ ფილმი დაუკვეთა. „ფილმი იყო მხატვრულ-დოკუმენტური და რამდენიმე რესპონდენტი მყავდა, მათ შორის ბუნებრივია, ისინიც, ვინც ჰიროსიმას ტრაგედიას მოესწრო. როგორ მოვიქცეთ, რომ მათი ტრაგიკული გამოცდილება 60 წლის შემდეგ არ გავაცოცხლოთ? ინტერვიუს 10 საათის განმავლობაში ვიწერდი. რესპონდენტმა საუბარი ომამდე პერიოდიდან დაიწყო, შემდეგ – ომის პერიოდზე და ბოლოს – ომის შემდგომ

წესი, ამერიკიდან ან ევროპიდან ჩამოსული სპეციალისტები ატარებენ, რომელიც ორგანიზაცია „დართ ცენტრს“ წარმოადგენენ. იხილეთ მათი ვებ გვერდი – www.dartcenter.org – ეს შესანიშნავი სახელმძღვანელოა ნებისმიერი ჩვენგანისთვის. მანამდე კი მოგახსენებთ:

კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის პროექტი – ჟურნალისტიკისა და ტრავმის „დართ ცენტრი“ ძალა-

ინტერდისციპლინურ პროფესიულ ქსელს, რომელშიც ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტები, პროფესორები და მკვლევრები შედიან.

ომის მსხვერპლნი – სად არის მაია?!

რამდენიმე დღის წინ, გაიმართა შეხვედრა „დართ ცენტრის“ ევროპული სამსახურის უფროსთან გევინ რიზთან, რომელმაც ჟურნალისტებს გამოცდილება გაუზიარა.

ვითარებაზე მესაუბრა. მთავარია, ასეთ რესპონდენტს არ შეაწყვეტინოთ საუბარი და არ უთხრათ, რომ ეს კი არა, სხვა რამ უფრო გაინტერესებთ. წყნარად დასხედით და უსმინეთ იქამდე, ვიდრე ისაუბრებს. თუკი არ გაინტერესებთ ამბავი, რომელსაც ის გიყვებათ, ეცადეთ, ეს არ გამოიხატოს თქვენს სახეზე“. რა შესანიშნავია და რა უცხოა ჩვენი რეალობისთვის, ჟურნალისტი ამდენს და ასე ფიქრობდეს ადამიანზე.

ტრავმის არსი – სად არის მაია?!

შემდეგ რიზი განგვიმარტავს, რომ ტრავმა არ არის მხოლოდ ფიზიკური დაზიანება ან სტრესი. სიყვარულიც კი შეიძლება, იყოს მატრავმირებელი. ტრავმა შეიცავს უსუსურობის, საშინელების და შიშის განცდას. არ არის აუცილებელი, პირადად თქვენ შეგეხოთ სტრესი იმისათვის, რომ მიიღოთ ტრავმა. აგრეთვე, შეგვახსენებს, რომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ტრავმირებულ ადამიანთან ურთიერთობისას. მაგალითად, იყო ასეთი ისტორია – ამასაც გევინ რიზი გვიამბობს – ქალბატონი საკუთარ სახლში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. მასთან ოთახში შეიჭრა უცნობი მამაკაცი და ის გააუპატიურა. რამდენიმე დღეში პოლიციამ დამნაშავე დააკავა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა მოძალადე დახატა, დეტალურად აღწერა და დაკავება სწორედ ამის საფუძველზე მოხდა. თუმცა, მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ ქალბატონმა აღწერა არა მოძალადე, არამედ მამაკაცი, რომელიც იმ დროს ჩანდა მისი ტელევიზორის ეკრანზე, როდესაც მას აუპატიურებდნენ.

ეს უკვე ის შემთხვევაა, რომელიც არა მხოლოდ ქართველმა ჟურნალისტებმა, არამედ სამართალდამცავებმაც უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, როდესაც მკვლელობის მეორე დღეს, ან რამდენიმე დღეში, პოლიცია აკავებს ეჭვმიტანილს, ვიდრე მის ბრალეულობას სასამართლო არ დაამტკიცებს, აღიარებითი ჩვენების მიუხედავად, მისი ეკრანზე გამოსახვისგან უმჯობესია, თავი შევიკავოთ.

ერთი უმნიშვნელო შეცდომა – სად არის მაია?!

„დართ ცენტრის“ ევროპული სამსახურის უფროსი გევინ რიზი გვიამბობს ისტორიას, სადაც ერთი არასწორად დასმული კითხვა მსხვერპლის ხელმეორე ტრავმის მიზეზად იქცა.

ლიბანში, ერთ-ერთ დაწესებულებაში, ტერორისტი შევარდა და ხალხი დაცხრილა. მათ შორის, ორი ჟურნალისტი იყო, ერთი მძიმედ დაიჭრა, მეორე ტყვიას გადაურჩა. გადარჩენილ ნორვეგიელ ჟურნალისტს ომში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და დაჭრილი კოლეგის გადარჩენას ბოლომდე ცდილობდა. დაჭრილი ჟურნალისტი ჰოსპიტალში 24 საათის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა კოლეგამ, რომელიც მის გადარჩენას ამაოდ ეცადა, საკუთარი თავის დადანაშაულება დაიწყო და დეპრესიაში ჩავარდა. ეს ძალიან გახმაურებული ისტორია იყო. 3 თვის განმავლობაში ნორვეგიელი ჟურნალისტი სახლიდან არ გამოდიოდა, შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო რეაბილიტაცია და 6 თვეში მისგან ინტერვიუ მისმა კოლეგამ ითხოვა.

ძალიან კარგი და საინტერესო ინტერვიუ იყო, – გვიამბობს გევინ რიზი, – ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ჟურნალისტმა კოლეგას უკანასკნელი კითხვა დაუსვა: რატომ ფიქრობთ, რომ ვერ გადაარჩენდით გარდაცვლილს? სწორედ ეს კითხვა გახდა იმის მიზეზი, რომ ნორვეგიელმა ჟურნალისტმა ტრავმა ხელმეორედ მიიღო და ისევ დეპრესიაში ჩავარდა. სწორედ ეს ერთი, არასწორად დასმული კითხვა გახდა იმის საბაბი, რომ ადამიანს იგივე სტრესი, ხელმეორედ მიეღო.

მოვლენის მითოლოგიზირების არაერთი შემთხვევა ყოფილა საქართველოში, განსაკუთრებით, ომის დროს. ჟურნალისტები ხშირად საკუთარი თვალით ნანახის მითოლოგიზირებას ახდენდნენ.

ძალადობის მითოლოგიზირება – სად არის მაია?!

ხშირად, როდესაც ადამიანი პანიკაშია, ის იწყებს მოვლენების მითოლოგიზირებას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხელი არ მიუწვდება ინფორმაციაზე. ამერიკაში ერთ-ერთ ქალაქს „კატრინამ“ გადაურა, ქალაქში ვერავინ შედიოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, CNN-მა და BBC-მაც კი დაიწყეს ხმების გავრცელება, რომ ქალაქში საშინელი ძალადობა მძვინვარებს, მოროდიორები ძარცვავენ სახლებს და აუპატიურებენ ქალებს. სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ გაირკვა, რომ სინამდვილეში, გაუპატიურების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. „დართ ცენტრის“ წარმომადგენლებმა თავად გადაამოწმეს ინფორმაცია.

მოვლენის მითოლოგიზირების არაერთი შემთხვევა ყოფილა საქართველოში, განსაკუთრებით, ომის დროს. ჟურნალისტები ხშირად საკუთარი თვალით ნანახის (არა თუ უნახავის) მითოლოგიზირებას ახდენდნენ. რომ არაფერი ვთქვათ მოვლენების იდეალიზირებაზე და იმ კუთხით წარმოჩენაზე, როგორც „ვისურვებდით“ რომ ყოფილიყო. ვისურვებდით ბრჭყალებში, რადგან ყველა არ ისურვებდა ამას.

და ბოლოს – სად არის მაია?!

წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, რომ ასეთი ტიპის საუბრები, სემინარები, ტრენინგები ხშირად იმართება ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ხელშეწყობით, მაგრამ მას არასდროს ესწრებიან პრაქტიკოსი ჟურნალისტები, საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერები თუ უფროსები. ამ ისტორიებს, ძირითადად, ის ადამიანები ისმენენ, ვისაც ასეთი ტიპის ინფორმაცია დაეხმარება, მაგრამ ცნობიერებას და პროფესიონალურ ხედვას არ შეუცვლის. მათ ეს არ სჭირდებათ. მარინა ვაშაყმაძემ („რადიო თავისუფლება“) თუ მედეა იმერლიშვილმა („მწვანე ტალღა“) იციან სიტყვა სტრესის, ტრავმის მნიშვნელობა. ასეთი ტიპის სემინარი მათთვის კიდევ ერთი სასარგებლო ინფორმაციაა.

დანარჩენი ჟურნალისტების სახით კი ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ არაპროფესიონალიზმთან, არამედ უგუნურებასთანაც. ვგულისხმობ იმ მედია მუშაკებს, ვინც დღევანდელ ქართულ მედია-სურათს ქმნის.

P.S. ალბათ, გაინტერესებთ რას ნიშნავს – „სად არის მაია?“ მთელი სემინარის განმავლობაში, ჩემს გვერდით მჯდომი ჩემი კოლეგა ტრიალდებოდა და ნახევრად იუმორით და ნახევრად შეშფოთებული მეკითხებოდა: „სად არის მაია?“ არ უნდა ისმენდეს ამას მაია ასათიანი?! მას ყველა ეს სტანდარტი აქვს დარღვეული, არაერთი ადამიანის უფლებას ლახავს ყოველ გადაცემაში და ჩვენც არაერთხელ გავმხდარვართ მისი ტელეტერორის მსხვერპლნი.

ფესტივალის შემდეგ...

ორი „ჰამლეტი“, პოლიტიკური „ციცინო“ და ბნელ ბაღში მოცეკვავენი

დავით ბუხრიკიძე



ფოტო: ბარბარა ქოჩაბაძისა

სცენა სპექტაკლიდან „ბნელ ბაღში“



ფოტო: ბრა ბუზაბაძისა

სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“

თითქმის ყველა სპექტაკლზე ანშლაგისა და ხელოვნების მოყვარული, მღელვარე სტუდენტების ბოლო შემოსევის შემდეგ (ამჯერად, გრიბოედოვის თეატრში თემურ ჩხეიძის „კოპენჰაგენზე“; დედის ხსენების ზედმეტად ლირიკული ფორმებისა და მცირე „შელახ-შემოლახვის“ ფონზე) თბილისის თეატრალური ფესტივალი მშვიდობიანად დასრულდა. ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო ახალგაზრდობის დიდი ინტერესი ფესტივალის მიმართ, მოსალოდნელზე მეტი პუბლიკა და გადაჭედილი თეატრალური დარბაზები. რამდენიმე დღით ადრე ბილეთები საერთოდ აღარ იშოვებოდა, ხოლო თეატრის კართან ზედმეტი ბილეთის ამაოდ მომლოდინე მაყურებლის რაოდენობა აშკარად სარეკორდოა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბილეთების ფასი არცთუ იაფია - 10-30 ლარის ფარგლებში. მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფესტივალი იშვიათი და ძვირადღირებლი „ხელნაკეთების“ გამოფენას უფრო ჰგავს (სტრელერის, ნეკროშუსის, კორშუნოვასის ან თემურ ჩხეიძის სპექტაკლები), ვიდრე იაფფასიან, მისაწვდომ „საქველმოქმედო“ აქციას.

და რა რჩება თბილისის ფესტივალის შემდეგ?

პირველ რიგში, ორი „ჰამლეტი“ ლიტვიდან – გვეტყვიან თეატრალები. ახალგაზრდა რეჟისორ ოსკარას კურშუნოვასის „ჰამლეტი“ (ვილნიუსის საქალაქო თეატრი) თეატრის ჩაბნელებულ კულისებში გათამაშებულ ტრაგიკულ კლოუნადას ჰგავს, სადაც არ დაძრწიან გარდაცვლილთა აჩრდილები, სადაც არასოდეს აინთება სინათლე, მაგრამ სიკვდილი მუდამ ცვალებადი ნიღბებითაა ჩასაფრებული და ის დამცინავად და მკაფიოდ განსაზღვრავს თამაშის წესს – როცა ზღვარი მაღალსა და დაბალს შორის წაშლილია; როცა ჰამლეტის მამის აჩრდილი და კლავდიუსი თითქოს ერთმანეთს ავსებენ; როცა წითელი ხელსახოცებით, ანუ, დამცინავი მეტაფორით „შეთხზული“ სისხლით თანაბრად ითხვრებიან ოდნავ სასაცილო, თოჯინურ-ინფერნალური ოფელიაც, ნაცრისფერი, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ჰამლეტიც, როზენკრანც-გილდენსტერნის გროტესკული წყვილიც...

დიდი ლიტველი რეჟისორის, ეიმუნტას ნეკროშუსის „ჰამლეტს“, რომელიც მან

ფოტო: ეკა ბოლაბაძისა

სცენა სპექტაკლიდან „ციცინო, ანუ პოლიტიკური პიესა“

ჯერ კიდევ 12 წლის წინ დადგა საკუთარ თეატრში „მენო ფორტას“, თბილისის წლევანდელ ფესტივალზე საუკეთესო შეფასება და პუბლიკის აღფრთოვანება მოჰყვა. სპექტაკლი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში სცენაზე აღარ იდგმებოდა ერთ-ერთი მსახიობის გარდაცვალების გამო, ნეკროშუსმა 2004-2005 წლებში აღადგინა. კრიტიკოსების აზრით, „ჰამლეტის“ რეინკარნაცია მაინც როკ-მომღერლისა და არაპროფესიონალი მსახიობის, ანდრიუს მამონტოვასის ჰამლეტის როლზე მოწვევას უკავშირდება ჰამლეტის როლზე. სხვათა შორის, ნეკროშუსი მას სტანისლავსკის „გარდასახვის ხელოვნების“ შესახებ წაკითხვასაც კი ავალდებულებდა.

...თქვენს წინაშეა უცნაური რკინის ნივთებითა და ჰაერში გამოკიდებული რკინის კბილანა ხერხით „გაფორმებული“ სცენა, რომელზეც ყინულის ნატეხებს ჭაღივით ჰკიდებენ, ხოლო განსაკუთრებულად „საშიშ“ სიტუაციაში ამოწმებენ, გალესილია თუ არა. რეჟისორი თავიდანვე ჩაითრევს მაყურებელს ოდნავ ირონიულ, რიტუალურ და პირქუშ თამაშში: სცენაზე მამის აჩრდილი თეთრი ქურქითა და უხილავი მარხილით შემოდის, თითქოს ლოსებზე მონადირე ლაპლანდიელია, კლავდიუსი (ვიტაუტას რუმშასი) და გერტრუდა (დალია სტორიკი) კი პირიქით შავი ქურქებით მეცხრამეტე საუკუნის მდიდარ ვაჭრებს ჰგვანან. ამ ფონზე მამონტოვასის ჰამლეტი ნამდვილი პანკია, შესაძლოა, როკერიც (გააჩნია როგორ შეხედავთ), ხოლო მისი მეგობარი და მუდამ სცენაზე მყოფი ჰორაციო (რამუნას რიდოკასი) მედიუმივითაა, ყველას შორის კავშირის დამყარებას ახერხებს.

პირქუშ და დამაელექტროებელ სპექტაკლში, სადაც განუწყვეტლივ ისმის რიტუალური ხმები, დოლისა და დაფდაფების ხმა თუ ვერდის „ბედის ძალის“ მოტივი, პოეტურ გამონათებად აღიქმება მწვანე კაბაში გამოწყობილი, უცნაური ახტაჯანასავით საინტერესო ოფელია (ვიქტორია კუოდიტე), რომლის სიგიჟე-სიკვდილის სცენა ერთ-ერთი ყველაზე საინტრესოა წარმოდგენაში.

...ჰამლეტი ფეხშიშველი საკუთარი ნებით დადგება ყინულზე, რომელიც წყლად ანუ არაფრად იქცა; რადგან არჩევანი მეომარ ფორტინბრასს ერგო. სწორედ იგი დაიტირებს ჰამლეტს ფინალში დიდ ხანს, მგრძნობიარე ცხოველის ყმუილით. დოლზე რიტმული დარტყმების ფონზე.

ძნელია ფესტივალზე წარმოდგენილი ირანული მარიონეტული ოპერა სახელწოდებით „როსტამი და ზოჰრაბი“ (რომელიც ირანული ეროვნული ეპოსის – ფირდოუსის „შაჰნამეს“ მიხედვით წარმოადგინა ირანულმა დასმა) თეატრალურ მეინსტრიმში მოაქციო. იგი არც მკაფიოდ გამოხატული საბავშვო სანახაობა და არც კლასიკური თოჯინური სპექტაკლია. ლორის ჩექნოვერიანის ოპერა „როსტამი და ზოჰრაბი“, რომელსაც თურმე კომპოზიტირი 25 წლის განმავლობაში წერდა, რეჟისორმა ბეჰრუზ ყარიბფუზმა თეირანში, ფირდოუსის ცენტრში დადგა.

ზუსტი და პოეტური აქცენტები, შესანიშნავად ნაკეთი თოჯინები და არანაკლებ საინტერესო სცენოგრაფია თითქოს მაყურებლის დაინტერესების კარგი საშუალებაა, თუმცა ტრადიციული ჟანრის ირანული ოპერა საკმაოდ მძიმეა და ერთფეროვანია აღქმისათვის. არადა, მეთოჯინეთა გარჯა და დაახლოებით ასამდე მარიონეტი მართლაც ჯადოსნურ სამყარის ქმნის.

სამაგიეროდ, ჯადოქრების საერთოდ არ ეშინია 19 წლის ციცინოს – ლაშა ბუღაძის ფანტაზიით შეთხზულ პერსონაჟს, რომელიც მთაში, ტრადიციულ ოჯახში ცხოვრობს და წმინდანების ხმები ჩაესმის: კავკასიის ომებსა და ყოველგვარ უბედურებას სწორედ ის მოაგვარებს. „ციცინო, ანუ პოლიტიკური პიესა”, ასე ეწოდება პიესას, რომელიც ფრანგმა რეჟისორმა კლარა შვარცენბერგმა პარიზის გარეუბანში, „სასცენო ხელოვნების კომპანიაში“ დადგა. საკმოად ცოცხალი და სატირული წარმოდგენა, რომელსაც ახალგარზრდა ფრანგი მსახიობები მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე თამაშობენ, კარგი მაგალითია, ერთი მხრივ, როგორ იმსხვრევა სტერეოტიპები საქართველოს შესახებ და მეორე მხრივ, როგორ კვებავენ მას ისევ უცხოელის მიერ მიღებული შეგრძნებები კავკასიაში – მუსიკით, ტექსტითა და პლასტიკით დაწყებული, პოლიტიკური ნიუანსებით დამთავრებული.

არც პოლიტიკა და არც დიდი ახსნა-განმარტება ჭირდება საცეკვაო დასს „კიბუცი“, რომელიც თანამედროვე ცეკვის შთამბეჭდავ ენაზე ქმნის 70 წუთიან სანახაობას სახელწოდებით „ბნელ ბაღში“. ცნობილი ებრაელი ქორეოგრაფი რამი ბეერი კარგად ითვისებს თანამედროვე ქორეოგრაფიისა და ცეკვის თეატრის ევროპულ გაკვეთილებს და გვთავაზობს უსიუჟეტო, განსხვავებული ასოციაციებით დატვირთულ ქორეო-სანახაობას. იგი სპეტაკლის სრული ბატონ-პატრონია: თხზავს ტექსტს, იგონებს მოძრაობებს, ბახს ურევს ჯონ შურმანს და ან ჯადოსნური ნაზავით, ნუ მოცეკვავეთა სხეულებით უდაბნოს განწყობასაც ქმნის და ოაზისსაც ხატავს.

მოკლედ, თბილისის საერთაშორისო ფესტივალი საინტრესოდ დასრულდა. საინტერესოა, როგორი იქნება მისი გამოძახილი და ვინ იქნებიან მომდევნო გმირები და როგორი იქნება ორგანიზატორთა არჩევანი?!

ვისია ჩემი ხლუბი

გიო ახვლედიანი

ცნობილი ამბავია, რომ ესპანეთში საფეხბურთო კლუბები ხალხს ეკუთვნის. ეს ნათქვამი ზოგადია და რასაკვირველია, თან ერთი სქელი კანონიც ახლავს. მაგრამ არსი კი ის არის, რომ ვისაც ქომაგობ, იმ კლუბის მართვაში წილი გიდევს და რასაკვირველია, ამას აქციები და მთელი ამბავიც მოჰყვება. ოღონდაც, კლუბის პრეზიდენტის არჩევნებში ხმა ერთი გაქვს, თუნდ აქცია ბევრი გქონდეს. ეს კარგი მიდგომაა და ახლა ამის მსგავსი კანონი გერმანიაშიც ამოქმედდება.

როგორც ძველი პროპაგანდისტები იკითხავდნენ:

– და რა მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში?

– სრულიად საპირისპირო.

ინგლისში ფეხბურთის კლუბი და ქარხანა კანონით არაფრით განსხვავდება. კლუბს ჰყავს პატრონი და ბორდი, თავისი პრეზიდენტით. ყველა ქომაგს და არაქომაგს შეუძლია, კლუბის აქციები იყიდოს, მაგრამ მის მართვაში მონაწილეობა – ნურას უკაცრავად, თუკი ამ აქციებს იმგვარი ძალა არ მოსდევს, რომ მათმა პატრონმა კლუბის ერთ-ერთი პატრონობა არ დაიჩემოს. ძველად ასე იყო, რომ მსხვილი აქციონერი ინგლისურ კლუბებს რამდენიმე ჰყავდა ხოლმე და ეს ბევრგან ახლაც შემორჩენილია, რაც კლუბის ბედ-იღბლის განსაზღვრაში რამდენიმე ბობოლას მონაწილეობას გულსხმობს. მაგრამ ბოლო დროს უმეტესად ისე წამოვიდა, რომ პრემიერ-ლიგის კლუბებს უცხოელი მილიარდერები ყიდულობენ და მათ ბედსაც თავიანთ ჭკუაზე განსაზღვრავენ.

კლუბების მილიარდერების ხელში ყოფნა ფანებს აღელვებს. საყვარელი გუნდის საქმეებში გარევა ფანობისთვის შეუძლებელია და სახალხო იარაღად მხოლოდ საპროტესტო გამოსვლები რჩება. ყველას ახსოვს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრების ჯანყი, როცა ირლანდიელმა მილიარდერებმა მანიემ და მაკმანუსმა კლუბი ამერიკელებს, გლეიზერების ოჯახს მიყიდეს. ფეხბურთის მაყურებელი იმასაც შეამჩნევდა, რომ დღეს ოლდ ტრეფორდის ტრიბუნებზე ნაჩვევ ალისფერ სამოსს მოულოდნელი ყვითელ-მწვანე სჭარბობს. ეს „მანჩესტერ იუნაიტედის” საუკუნისწინანდელი სამოსის ფერია, რაც ახლა ანტი-გლეიზერული მოძრაობის სიმბოლო გამხდარა. ოღონდაც, ფანებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

„ჩელსის“ რუსი პატრონი ჰყავს, „მანჩესტერ სიტის“ – არაბი და ასე დაუსრულებლად. უცხოელ მილიარდერთა ინტერესი ინგლისური კლუბებისადმი ძალიან დიდია და თუ სადმე ხმა გავარდა, კლუბი იყიდებაო, ერთი რიგი დადგება ხოლმე. მილიარდერებს დიდი ხარჯი აქვთ ახალნაყიდ კლუბებში, მაგრამ ჩანს, ამბავი უღირთ.

აი, ახლა ლივერპულშია ამბავი. დიადი კლუბი ცხრილის ბოლოში გაჩხერილა. ცხადია, არეულობა ყველაზე მოქმედებს. მის ამერიკელ პატრონებს ჰიკსს და ჯილეტს კლუბის გაყიდვა ადრევე გადაეწყვიტათ და, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ამერიკული კონსორციუმი „ნიუ ინგლანდ სპორტს ვენჩას”, რომელიც ამერიკაში სპორტულ კლუბებსა ფლობს. ამ ამბავს წინ აღუდგა კლუბის ბორდი და ახალი თავმჯდომარე, რომელთაც ზურგსუკან ფანობის მხარდაჭერა იგრძნეს. ჰიკსი და ჯილეტი ადგნენ და ბორდის ორი მოჯანყე წევრი შეცვალეს, ჰიკსის ვაჟითა და შინაკაცით, რათა საჭირო გადაწყვეტილება მიეღოთ. ოღონდაც ლივერპულელებმა უკან აღარ დაიხიეს და ტეხასის სასამართლომ ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია შეაჩერა. ამ საქმეში ჩათრეულია „ბენქ ოფ სქოტლანდიც“ და მისი კრედიტებიც. და საერთოდ, ამბავი დღითიდღე იხლართება.

ოღონდაც, რა კავშირი აქვს ამას ფეხბურთთან, ძნელი გასარკვევია. „ლივერპული“ საშინლად თამაშობს, ფანობა ღელავს და შურით გასცქერის გერმანულ კლუბებს – აიო, იმათ რა ჭკვიანურად ქნეს ყველაფერიო.

თუმცა, გასცქერის და გასცქერის. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ინგლისში გერმანიის მსგავსი კანონი მიიღონ. ასეთი რამის საჭიროებას ჯერჯერობით ვერავინ დაინახავს.

დაბვიანებული ჩივილი

კახა თოლორდავა

ნამდვილად არ მახსოვს, რამდენი ხნის წინ დაუბრუნდნენ თბილისურ ავტობუსებს კონტროლიორები, მაგრამ მას შემდეგ უკვე ორჯერ ვნახე ისინი სიზმარში, ორივეჯერ დაჯარიმებას მიპირებდნენ იმის გამო, რომ უბილეთოდ ვმგზავრობდი, ორჯერვე იმ დროს გამეღვიძა, როდესაც ქეჩოში მწვდნენ და ავტობუსიდან ჩათრევას მიპირებდნენ. ყოველ გამოღვიძებაზე, სიზმრიდან უეცარი გამოვარდნა შვებას მგვრიდა. ვერასდროს ვიფიქრებდი, ასეთ სოლიდურ ასაკში ასეთი ბავშვური შიშები თუ გამიჩნდებოდა, მაგრამ ვხვდები, რატომაც მოხდა ასე; ამის ახსნა საკმაოდ ადვილია მათთვის, ვინც ხშირად მგზავრობს ავტობუსით და საკმაოდ ძნელი მათთვის, ვისაც თბილისური ავტობუსით ჯერ არ უმგზავრია. მოკლედ, ეს ჩემი უცნაური შიშები შედეგია იმისა, რომ რამდენიმეჯერ ნ ა ჩ ქ ა რ ე ვ ი გადაწყვეტილება მივიღე და ავტობუსში მ ო უ მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი ავედი.

აი, სწორედ აქ შეიძლება, გაუჩნდეს პირველი შეკითხვა გამოუცდელ მგზავრს, – რას ნიშნავს ავტობუსში ნაჩქარევად და მოუმზადებლად ასვლა? გიპასუხებთ: ავტობუსში ნაჩქარევად ასვლა ნიშნავს იმას, რომ თქვენ სისტემატურად არ მგზავრობთ ავტობუსით, შესაბამისად, აბონემენტი არა გაქვთ, მაგრამ სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სპონტანურ გადაწყვეტილებას იღებთ და ავტობუსში ადიხართ. ახლა უფრო გავართულებ და შეეცადეთ, არ ჩამომრჩეთ: ავტობუსში მოუმზადებლად ასვლა არ ნიშნავს იმას, რომ ბილეთის ასაღებად საკმარისი ფული არ გაქვთ. პირიქით, ავტობუსში ასვლის მომენტში თქვენ შეიძლება, ჯიბეები ფულით გქონდეთ გაძეძგილი და რაც მთავარია, ძალიანაც გინდოდეთ ბილეთის აღება, მაგრამ ერთი ხუთთეთრიანის ან ათთეთრიანის არქონამ, რომელიც ბილეთის აღებისათვის აუცილებელი „თეთრული“ კომბინაციის ნაწილია, შეიძლება, ყვითელჯუბიანი კონტროლიორების ხელში მოგახვედროთ.

არა, მძღოლი და მგზავრები ვერაფრით გიშველიან. მძღოლები იმიტომ, რომ ისინი ფულს აღარ ახურდავებენ, როგორც ეს ადრე იყო; მგზავრები კი... ჰო, ეს უფრო საინტერესოა, რადგანაც თუ ყურადღებით მიმოიხედავთ გარშემო, აუცილებლად შეამჩნევთ მუჭშეკრულ, დაძაბულად თვალებაცეცებულ თბილისელებს. მათაც, ალბათ, ჩემსავით იმპულსური გადაწყვეტილება მიიღეს, შეიძლება, რაღაც გაახსენდათ და იფიქრეს ა, ბატონო ავტობუსი, უფრო ჩქარა მიმიყვანს დანიშნულების ადგილზეო. ავტობუსში ამოსვლისას მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ბილეთის აღება, მაგრამ თბილისურ ავტობუსებში

უბრალო გადაწყვეტილება ვერაფერი ბედენაა. აი, რა ხდება შემდეგ: მათ მხოლოდ ავტობუსში აღმოაჩინეს, რომ ორმოცთეთრიანი „ბინგოს“ წამოსაყვირებლად აუცილებელ კომბინაციას სულ რაღაც ხუთი თუ ათი თეთრი აკლია. არა, ფული იმდენი აქვთ, რომ ნახევარ თბილისს დაპატიჟებენ ბილეთზე, მაგრამ ის ლარები ავტობუსში არ „ლარობს,“ ზუსტად ისე, როგორც რუსული რუბლი აღარ „რუბლობს“ საქართველოში.

ასე რჩებიან მიამიტი თბილისელები თავიანთი ოცდაათი ან ოცდათხუთმეტი თეთრის ამარა ოფლიან მუჭებში და შიშის ზარიც ამ დროს ჩამოკრავს ხოლმე. ალბათ, მიხვდით, ამ დროს თვალების ცეცებას რატომ იწყებენ ხოლმე, არა? მართალია, კონტროლიორის ეშინიათ. ახლა უკვე იმასაც მიხვდებოდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისურ ავტობუსში მომზადებულად ასვლას, რაც ნიშნავს იმას, რომ გაღვიძებისთანავე აუცილებელია, კარგად დაგეგმოთ დღე და თუ გადაწყვიტავთ, რომ იმ დღეს ავტობუსში ასვლა მოგიწევთ, შეათანხმოთ ეს თქვენი ოჯახის წევრებთან, რადგანაც თუ მათაც უწევთ იმავე დღეს ავტობუსში ასვლა, შეიძლება ხურდა ფულს იოლად ვერ შეელიონ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგიწევთ თქვენი სახლის სიახლოვეს „მინი სუპერმარკეტების“ პირქუშ გამყიდველებთან ყელის გამოგლეჯვა ან ერთი არააუცილებელი „ორბიტის“ ყიდვა ან კიდევ, ჯანი გავარდეს და აბონემენტის ყიდვაც კი, თუმცა შეიძლება მოხდეს ისე, რომ ის აბონემენტი თვეების განმავლობაში არ დაგჭირდეთ.

მოკლედ, ერთი შეხედვით თითქოს რა უნდა იყოს ავტობუსით მგზავრობაზე იოლი, მაგრამ მაშინ რატომ მესიზმრებიან ის ყვითელჯუბიანი კონტროლიორები?

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE